დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო უსაფრთხოება და ტექნოლოგიები
მაგისტრატურა

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი - 23/12/22

დასკვნის წარდგენის თარიღი - 02/02/23

თბილისი

Contents

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 10

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 30

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 42

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 49

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 57

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი Business and Technology University, კერძო სამართლის იურიდიული პირი, შეზღუდული პასუხისმგებლობის სახოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	405155638
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა აბდალაძე, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანი არაბული, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით მაცაბერიძე, სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ალექსანდრე კალანდაძე, სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	საერთაშორისო უსაფრთხოება და ტექნოლოგიები
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	International Security and Technologies
უმაღლესი განათლების საფეხური	II (მაგისტრატურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი / Master of Security Studies (0312.2.2 უსაფრთხოების კვლევები / Security Studies)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები / Political Sciences and Civics
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 120 ECTS (1 კრედიტი = 25 სთ.) და სწავლების ხანგრძლივობაა 4 სემესტრი (2 აკადემიური წელი). პროგრამის სტრუქტურა შედგება სასწავლო კომპონენტისგან (სავალდებულო და არჩევითი ნაწილი; სასწავლო კურსები და პრაქტიკა) და სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისგან (სამაგისტრო ნაშრომი, 30 ECTS).

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/არჩევითი ბლოკები, რომლებიც საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტებზე აკეთებს აქცენტს. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი არჩევითი ბლოკი ეძღვნება კიბერუსაფრთხოებას, რაც საგანმანათლებლო პროგრამის დადებითი მახასიათებელია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2022 წლის 23 დეკემბერს შედგა აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში. ვიზიტი მიმდინარეობდა განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით: ჩატარდა ინტერვიუები უსდ-ის ადმინისტრაციასთან, უსდ-ის ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ფაკულტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ვიზიტი მიმდინარეობდა კოლეგიალურ გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.3. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.4. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.5. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

4.1. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.5. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

  1.3.
  - **რეკომენდებულია**, გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის კურიკულუმის რუკა.

  1.4.
  - **რეკომენდებულია,** პროგრამის სტრუქტურაში პრაქტიკის არჩევითი სასწავლო კურსი გახდეს 6 კრედიტიანი.
  - **რეკომენდებულია,** საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსი, რომელიც ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტს მისცემს შესავალ ცოდნას ინფორმაციულ ტექნოლოგიებში უსაფრთხოების კიბერ განზომილებასთან დაკავშირებული სხვა სასწავლო კურსების შინაარსების გათვალისწინებით და რომელიც შექმნის წინაპირობას კიბერ მიმართულების სხვა სასწავლო კურსებისთვის.
  - **რეკომენდებულია,** საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას დაემატოს პოლიტიკის მეცნიერების შემსწავლელი სავალდებულო სასწავლო კურსი, რომელიც შეისწავლის პოლიტიკის მეცნიერების ძირითად საფუძვლებს და მისი შინაარსი ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ შექმნას წინაპირობა იმ სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისთვის, რომელთა სწავლება პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პოლიტიკური პროცესების გარკვეულ ცოდნას მოითხოვს.
  - **რეკომენდებულია,** საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომ პროგრამის სტრუქტურა წარმოაჩენდეს მარტივიდან რთულისკენ, ზოგადიდან კერძოსკენ ლოგიკას; მსგავსი ასპექტების შემსწავლელი სასწავლო კურსები აღქმულ იქნას ჰოლისტიკური მიდგომით, სადაც სავალდებულო სასწავლო კურსმა უნდა შექმნას წინაპირობა სხვა სასწავლო კურსებისთვის. პროგრამის სტრუქტურაში აღნიშნული ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია მოხდეს სასწავლო კურსის/კურსების დამატებით ან/და არსებული სასწავლო კურსების შინაარსების სინქრონიზაციით/შესავალი თემების დამატებით ან/და სასწავლო კურსების გადანაცვლებით.

    რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურა გახდეს უფრო მოქნილი და არჩევითი სასწავლო კურსი/კურსები (სავალდებულო არჩევითი/არჩევითი/არჩევითი ბლოკების სასწავლო კურსი/კურსები) პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას პირველივე სემესტრიდან.

  1.5.
  - **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსების „კვლევის მეთოდები“ და „კომუნიკაცია და ლიდერობა“ სილაბუსების შინაარსის და ლიტერატურის მოდიფიცირება სფეროს სპეციფიკისა და საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის გათვალისწინებით; ასევე, უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები“ სათაურთან შესაბამისობა და სილაბუსის შინაარსში აქცენტის გაკეთება როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ კველევით მეთოდებზე.
  - **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა“ სილაბუსი ჩამოყალიბდეს როგორც „საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო პოლიტიკა“, სადაც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები/თეორიები წარმოდგენილი იქნება თანმიმდევრულად, საერთაშორისოდ აღიარებული კლასიფიკაციების თანახმად, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკის თემატიკა წარმოდგენილი იქნება თეორიული საფუძვლის შემდეგ, თეორიისა და საერთაშორისო პრაქტიკის ურთიერთკავშირის გამოკვეთით. ასევე, ძირითად და დამატებით ლიტერატურაში წყაროების გარდა, გამოყენებულ უნდა იქნას სახელმძღვანელოს

ტიპის ლიტერატურა, რისი დიდი არჩევანიც არსებობს ინგლისურენოვან ლიტერატურაში და ზოგიერთი სახელმძღვანელო თარგმნილია ქართულ ენაზეც.

- **რეკომენდებულია,** საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებში განხორციელდეს იმგვარი შინაარსობრივი ცვლილებები, რომ მოხდეს მსგავსი თემატიკის შემსწავლელ სილაბუსებში საკითხების ლოგიკური გამიჯვნა (მათ შორის, თეორისა და ქეისებს შორის, საერთაშორისო და ეროვნულ ასპექტებს შორის), შინაარსობრივი გადაფარვების თავიდან აცილება, სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე პრიორიტეტული საკითხების შესახებ (მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, რეგიონის მეზობელი ქვეყნები) ინფორმაციის გამრავალფეროვნება/გაღრმავება.

2.2.

- **რეკომენდებულია,** მემორანდუმებში დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს მიზნები, მოქმედების საფეროები, დასახული ამოცანები, პრაქტიკის განხორციელების გზები და მოსალოდნელი შედეგები. ასევე დაზუსტდეს, პრაქტიკის ობიექტზე მიმაგრებულ სტუდენტთა რაოდენობა.

4.1.

- **რეკომენდებულია,** პროგრამის ხელმძღვანელების ჯგუფი გაძლიერდეს პერსონალით, რომელსაც ექნება დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხი და ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისა და განხორციელების გამოცდილება.

5.1.

- **რეკომენდებულია,** პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი აქტიურად იყვნენ ჩართული პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.1.

- **სასურველია,** უსდ-მ ჩაატაროს ინტერვიუირება იმ დამსაქმებლებთან, რომელთა საქმიანობის სპეციფიკა არ ეწინააღმდეგება საჯარო ინფორმაციის გაცემას და წარმოადგინოს ანალიზი იმ ფორმატში, როგორადაც შესაძლებელი იქნება ზოგიერთი სახელმწიფო სტრუქტურის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე.
- **სასურველია,** პროგრამის მიზნებში უფრო ნათლად გამოიკვეთოს ინტერნაციონალიზაციის საკითხები.

1.3.

- **სასურველია,** პროგრამის პერსონალი დაწვრილებით გაეცნოს სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით როგორც საუნივერსიტეტო მიდგომებსა და ძირითად სამოქმედო პრინციპებს, ისე საკუთრივ პროგრამისთვის შემუშავებულ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს.

1.4.

- **სასურველია,** უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეტი ჩართულობა პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირების და სხვ. პროცესებში.
- **სასურველია,** საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას დაემატოს აკადემიური წერისა და კვლევის დიზაინის შემსწავლელი სავალდებულო ან არჩევითი სასწავლო კურსი, რომლის შინაარსი განისაზღვრება სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით.
- **სასურველია,** პროგრამის კურიკულუმი წარმოდგენილ იქნას ტექნიკური ხარვეზების გარეშე, დაფიქსირდეს უცხო ენის შემსწავლელი სასწავლო კურსები 2 სასწავლო კურსად, სადაც მეორე სასწავლო კურსის წინაპირობა იქნება პირველი სასწავლო კურსი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ენის მეორე დონის შემსწავლელ სასწავლო კურსზე წინაპირობის გარეშე დაიშვება სტუდენტი შესაბამისი სერთიფიკატის წარმოდგენით/შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებით.
- **სასურველია,** პროგრამის სტრუქტურას დაემატოს ინგლისურენოვანი სავალდებულო ან არჩევითი სასწავლო კურსები ან სტუდენტებს მიეცეს არჩევანი ესა თუ ის სასწავლო კურსი გაიაროს ქართულ ან ინგლისურ ენებზე.

1.5.

- **სასურველია,** არჩევითი სასწავლო კურსი „კომუნიკაცია და ლიდერობა“ ჩამოყალიბდეს ორ დამოუკიდებელ სასწავლო კურსად.

2.1.

- **სასურველია,** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ის ნაწილი, სადაც დარგობრივ კომპეტენციებზეა საუბარი, ფორმულირდეს ნათლად და გასაგებად.

2.3.

- **სასურველია,** სასწავლო კურსის „საერთაშორისო უსაფრთხოება და ტექნოლოგიები“ სილაბუსში გათვალისწინებულ იქნას პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდი, სასწავლო კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

3.2.

- **სასურველია,** უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტებში გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისთვის წაყენებული დამატებითი მოთხოვნა, რომ ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან/და უნდა უდასტურდებოდეს კვლევითი მიმართულებით მუშაობის დარგობრივი გამოცდილება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაგისტრანტის კვლევის ჩატარების მაღალი ხარისხი.

4.1.

- **სასურველია,** უსდ-მ იზრუნოს პროგრამის აფილირებული პერსონალით გაძლიერებისთვის.
- **სასურველია,** აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევისას გარდა პრაქტიკული გამოცდილებისა, გათვალისწინებულ იქნას პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა.

4.2.

- **სასურველია,** მაგისტრის ხელმძღვანელი იყოს კვლევითი გამოცდილების მქონე პერსონალი.

4.3.

- **სასურველია,** უსდ-მ გააძლიეროს აკადემიური პერსონალის ჩართულობის ხელშეწყობა სამეცნიერო და კვლევით პროექტებში.

5.2.

- **სასურველია,** პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, გარე შემფასებლებს დარგობრივი ექსპერტიზისთვის მიეწოდოს პროგრამის სრული პაკეტი სილაბუსებითა და განმახორციელებელი პერსონალის რეზიუმეებით.

5.3.

- **სასურველია,** პროგრამის ხელმძღვანელებთან გაიმართოს საორიენტაციო სამუშაო შეხვედრები პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მექანიზმებისა თუ პროცესების შესახებ, ასევე ამ შეფასების შედეგების პროგრამაში ასახვის თაობაზე.
- **სასურველია,** პროგრამის განვითარების მიზნით, მონიტორინგის პროცესში პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მეტად სიღრმისეულად იქნას შესწავლილი შრომის ბაზრის ტენდენციები, ადგილობრივ დამსაქმებელთა მოთხოვნები, ცოდნა და კომპეტენციები, რომლითაც აღჭურვილი უნდა იყოს მომავალი კურსდამთავრებული.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

–

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, უსდ-მ წარმოადგინა არგუმენტირებული პასუხი რეკომენდაციებთან დაკავშირებით. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო წარმოდგენილ არგუმენტაციას და იმსჯელა დასკვნის პროექტში ცვლილებების

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

შეტანის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, უსდ ეთანხმება რეკომენდაციების დიდ ნაწილს და არ ეთანხმება ზოგიერთ რეკომენდაციას. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებით, წარმოდგენილი არგუმენტაცია არ იქნა გათვალისწინებული, თუმცა მოხდა ზოგიერთი რეკომენდაციის დაზუსტება და რეფორმულირება უსდ-ის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის გათვალისწინებით. კერძოდ:

1.4. ქვესტანდარტის # 2 რეკომენდაციაში, როგორც ჩანს გარკვეული ბუნდოვანება გააჩინა სიტყვა „საბაზო“ გამოყენებამ. რეკომენდაციაში დაზუსტდა, პროგრამის სტრუქტურაში საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით რა ტიპის შესავალი კურსის დამატებას ითვალისწინებს რეკომენდაცია, ასევე დაზუსტდა აღნიშნული სასწავლო კურსის სტატუსი (სავალდებულო არჩევითი).

1.4. ქვესტანდარტის # 5 რეკომენდაციის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში პირველივე სემესტრიდანვე უნდა მოხდეს არჩევითი კომპონენტის გათვალისწინება. წარმოდგენილი არგუმენტაციის მიხედვით, პროგრამის პირველი სემესტრში გათვალისწინებულია შესავალი სასწავლო კურსები, რომლებმაც უნდა შექმნას წინაპირობა სხვა სასწავლო კურსებისთვის და შეუძლებელი იქნება არჩევითი სასწავლო კურსის პირველივე სემესტრში გათვალისწინება, თუმცა უსდ გონივრულად მიიჩნევს იმსჯელოს არჩევითი სასწავლო კომპონენტის მეორე სემესტრში გათვალისიწნებაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვერ მოხდა უსდ-ის არგუმენტაციის გათვალისწინება, რადგან 1.4. ქვესტანდარტის სხვა რეკომენდაციების მიხედვით ნათლად იკვეთება, რომ წარმოდგენილი სახით პროგრამის პირველი სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსები ვერ ასრულებს შესავალი კურსების ფუნქციას, ვერ ქმნის წინაპირობას სხვა სასწავლო კურსებისთვის და საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა განხორციელდეს სტრუქტურული ცვლილებები. გარდა ამისა, 1.4. ქვესტანდარტის #2 რეკომენდაციის რეფორმულირების შემდეგ გამოიკვეთა კონკრეტული სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსის პირველ სემესტრში დამატების აუცილებლობა.

უსდ არ ეთანხმება 1.5. ქვესტანდარტის # 1 რეკომენდაციას, რომელიც მემორანდუმების დაზუსტებასა და დაკონკრეტებას მოითხოვს. აკრედიტაციის ჯგუფისთვის ლოგიკურია წარმოდგენილი არგუმენტაცია, ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ წარმოდგენილი კვალიფიკაციის შემთხვევაში ზოგადად რთულია დამსაქმებელს მოვთხოვოთ მემორანდუმებში კონკრეტული დეტალების დაზუსტება დამსაქმებელთა საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. მიუხედავად აღნიშნულისა, არ მოხდა უსდ-ის არგუმენტაციის გათვალისწინება, რადგან სტანდარტი მოითხოვს პრაქტიკის შემთხვევაში მემორანდუმების დეტალიზაციას.

უსდ არ იზიარებს 4.1. ქვესტანდარტის #1 რეკომენდაციას საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთა ჯგუფის გაძლიერებასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნავს, რომ რეკომენდაციას იღებს როგორც გონივრულ რჩევას და არ გამორიცხავს შემდგომში პროგრამის ხელმძღვანელთა გუნდის გაძლიერებას დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პერსონალით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ მოხდა არგუმენტაციის გათვალისწინება. წარმოდგენილ დასკვნაში საგანმანათლებლო პროგრამის მთავარ სისუსტედ იდენტიფიცირდა პროგრამის სტრუქტურა, რაც პირდაპირ კავშირშია პროგრამის ხელმძღვანელების მიერ გაწეულ საქმიანობასთან. ასევე, რეკომენდაცია ხაზს უსვამს არა მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელის ხარისხს, ასევე საგანმანათლებლო პროგრამებთან მუშაობის გამოცდილებას.

უსდ არ იზიარებს 5.1. ქვესტანდარტის #1 რეკომენდაციას. აკრედიტაციის ჯგუფის მიერ ნაწილობრივ გაზიარებულ იქნა წარმოდგენილი არგუმენტაცია. კერძოდ, დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია დასკვნაში ჩანაცვლდა იმ ფორმულირებით, რაც მოცემული იყო რჩევის სახით დასკვნის პროექტში. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ასევე ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, დასტურდება უსდ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ეფექტური მუშაობა და მექანიზმების არსებობა, თუმცა წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით აკრედიტაციის ჯგუფი მოიაზრებს დამატებით ძალისხმევას სხვადასხვა ქვესტანდარტში გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

-

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა თავისი სტრუქტურით ინტერდისციპლინურია და გულისხმობს საერთაშორისო ურთიერთობებთან და პოლიტიკასთან, საერთაშორისო და ეროვნულ უსაფრთხოებასთან და ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სასწავლო კურსის სწავლებას. პროგრამის მიზნებში ლაკონურად და ნათლად არის ასახული პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათი და რეალისტურად არის ჩამოყალიბებული თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამდავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. კერძოდ, პროგრამის მიზნებში ასახულია უსაფრთხოების კვლევების სხვადასხვა ქვედარგებთან დაკავშირებული სისტემური დარგობრივი ცოდნა (საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოება, დაზვერვა და კიბერუსაფრთხოება და სხვ.), უნარები (ინტერდისციპლინარული მიდგომების გამოყენების უნარი, კვლევის უნარი და სხვ.) და კომპეტენციები, რომლებიც შესატყვისია პროგრამის სტრუქტურასთან და სწავლების საფეხურთან. პროგრამის სტრუქტურისა და სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსის გათვალისწინებით, პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადი გახდება პროგრამის სტრუქტურაში გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდგომ (საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის შესახებ რეკომენდაციები გაცემულია 1.4. ქვესტანდარტში).

ტექნოლოგიურ საუკუნეში უსაფრთხოების კვალიფიკაციის პროგრამაში კიბერ განზომილების გაძლიერება და ცალკე არჩევით ბლოკად შეთავაზება, ასახავს საერთაშორისო ბაზრის პრიორიტეტებს, ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უდაოდ ხელს შეუწყობს ეროვნული მასშტაბით დარგის განვითარებას. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ბაზრის კვლევა სამაგიდე კვლევაა (Desk Research), სადაც მიმოხილულია მსგავსი კვალიფიკაციის ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების პროცესში დადასტურდა დამსაქმებლების რეალური ინტერესი საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ, თუმცა დამსაქმებლებს არ წარმოუდგენიათ დოკუმენტურად გაფორმებული შეფასებები ან მოსაზრებები. უსდ-ის

განმარტებით, პროგრამის დამსაქმებლებში მოიაზრება სახელმწიფო სტრუქტურები (მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური), რომელთა ფუნქციონირების სპეციფიკიდან გამომდინარე, უსდ ვერ განახორციელებს დამსაქმებლების საჭიროებების კვლევას და ანალიზს. ვიზიარებთ უსდ-ის არგუმენტაციას, თუმცა ვთვლით, რომ **სასურველია,** უსდ-მ ჩაატაროს ინტერვიუირება იმ დამსაქმებლებთან, რომელთა საქმიანობის სპეციფიკა არ ეწინააღმდეგება საჯარო ინფორმაციის გაცემას და წარმოადგინოს ანალიზი იმ ფორმატში, როგორადაც შესაძლებელი იქნება ზოგიერთი სახელმწიფო სტრუქტურის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

უსდ-ის მისიაში, მიზნებსა და სტრატეგიაში აქცენტი კეთდება საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარებზე, კვლევებზე, კურსდამთავრებულთა კომპეტენციებზე და ინტერნაციონალიზაციაზე. წარმოდგენილი პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ის მიზნებსა და სტრატეგიას. პროგრამის მიზნებში არ არის გამოკვეთილი ინტერნაციონალიზაცია, თუმცა ინტერნაციონალიზაცია მოაზრებულია პროგრამის მიზნების სხვადასხვა ასპექტებში. **სასურველია,** პროგრამის მიზნებში უფრო ნათლად გამოიკვეთოს ინტერნაციონალიზაციის საკითხები.

უსდ-ის ვებგვერდზე განთავსებულია დეტალური ინფორმაცია უსდ-ში მოქმედი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შესახებ. წარმოდგენილი ახალი პროგრამა ასევე განთავსდება უსდ-ის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის კურიკულუმისა და პროგრამასთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მომზადების პერიოდში, პროგრამის აღწერილობა ასევე განთავსდა უსდ-ის ვებგვერდზე საჯარო განხილვისთვის, რაც ყველა დაინტერესებულ მხარეს აძლევდა შესაძლებლობას საკუთარი მოსაზრება გამოეთქვა პროგრამის კურიკულუმისა და მათ შორის, მიზნების შემუშავების პროცესში.

პროგრამაში ჩართული პირები იცნობენ პროგრამას და პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში გვთავაზობს თვითშეფასების ჯგუფის საქმიანობის დეტალურ მიმოხილვას. თვითშეფასების ჯგუფის წევრების აქტიური ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შემუშავების პროცესში დასტურდება ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში
- უსდ-ის მისია, მიზნები და სტრატეგია https://btu.edu.ge/chven-shesakheb/
- შრომის და განათლების ბაზრის მოთხოვნების ანალიზი
- ინტერვიუს შედეგები.
- უსდ-ის ვებგვერდი https://btu.edu.ge/

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, უსდ-მ ჩაატაროს ინტერვიუირება იმ დამსაქმებლებთან, რომელთა საქმიანობის სპეციფიკა არ ეწინააღმდეგება საჯარო ინფორმაციის გაცემას და წარმოადგინოს ანალიზი იმ ფორმატში, როგორადაც შესაძლებელი იქნება ზოგიერთი სახელმწიფო სტრუქტურის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

სასურველია, პროგრამის მიზნებში უფრო ნათლად გამოიკვეთოს ინტერნაციონალიზაციის საკითხები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები გაწერილია დეტალურად და შეესაბამება პროგრამის მიზნებს. კერძოდ, პროგრამის შედეგებში ასახულია დარგობრივი ცოდნა (საერთაშორისო ურთიერთობები, კიბერუსაფრთხოება, ომის თეორია, თანამედროვე კონფლიქტები, დაზვერვა და სხვ.), უნარები (ასევე კომპეტენციები - ინსტრუმენტული, ინტერპერსონალური, სისტემური კომპეტენციები), პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. პროგრამის შედეგები შეესაბამება სწავლების საფეხურს (სისტემური, კომპლექსური ცოდნა) და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის მიზნების გათვალისწინებით, პროგრამის შედეგები მიღწევადი და რეალისტურია. პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის გათვალისწინებით, პროგრამის შედეგები რეალისტურია და მიღწევადი გახდება პროგრამის სტრუქტურაში გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდგომ (საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის შესახებ რეკომენდაციები გაცემულია 1.4. ქვესტანდარტში).

პროგრამის შედეგები ჩამოყალიბებულია დეტალურად და ნათლად, რაც ხელს შეუწყობს შედეგების გაზომვადობას.

პროგრამის შედეგები შეესაბამება სფეროს სპეციფიკას. კერძოდ, მასში აქცენტი კეთდება როგორც სხვადასხვა ქვედარგთან დაკავშირებულ ცოდნასთან, ასევე ამ ცოდნის კომპლექსურ გაგებასა და ინფორმაციის ანალიზზე, ანალიტიკურ და პრაქტიკულ უნარებზე და სხვ. როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს კიბერ განზომილებაზე აქცენტი, რაც მომავალში დიდი ალბათობით უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების მაჩვენებლის ზრდას.

პროგრამის შედეგები იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დასტურდება ჩატარებული ინტერვიუებით, თვითშეფასების ჯგუფის მუშაობა აღწერილია უსდ-ის თვითშეფასების ანგარიშში. პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, ფაკულტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება უსდ-ში დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობის მექანიზმების არსებობა. აღნიშნული მექანიზმები გაწერილია უსდ-ის მარეგულირებელ დოკუმენტებში, რომლებიც განთავსებულია უსდ-ის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამის რუკა
- უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში
- შრომის და განათლების ბაზრის კვლევა
- ინტერვიუს შედეგები
- უსდ-ის ვებგვერდი https://btu.edu.ge/

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ში პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების შეფასების საკითხს არეგულირებს შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციები: „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგია“, „ხარიხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო“ და „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“. აღნიშნული რეგულაციების თანახმად, პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება შეფასების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, რაც საწყის ეტაპზე მოიცავს კურიკულუმისა და სწავლის შედეგების შემუშავებას, ამ უკანასკნელთა გაზომვადობის, რეალისტურობის და მიღწევადობის უზრუნველყოფას, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შემუშავებას, შესაბამისი შეფასების გეგმის გაწერას, შესაბამისი სამიზნე ნიშნულების დადგენას და ა.შ., ხოლო შემდგომ ეტაპზე - სხვადასხვა რაოდენობრივი თუ თვისებრივი მონაცემის შეგროვებასა და ანალიზს ყოველსემესტრულად თუ კომპლექსურად.

ვინაიდან სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა ახალია, მისი სწავლის შედეგების შეფასება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცაღა პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება წარმოადგენს აწ უკვე დანერგილ პრაქტიკას დაწესებულებაში და მოიცავს როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შეფასებასა და მონიტორინგს. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი ფასდება პროგრამის დასასრულს იმ სასწავლო კურსში, რომლითაც ხდება სწავლის შედეგის განმტკიცება. თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვრება სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით. პირდაპირი შეფასების მეთოდში მოიაზრება სტუდენტის შეფასების კომპონენტი, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა შეფასების ფორმით შესაბამისი სილაბუსების მიხედვით, რა დროსაც გამოიყენება ის კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში უზრუნველყოფილია გარე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებელი, კურსდამთავრებულები, გარე შემფასებლები და სხვ.) ჩართულობაც არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით (მაგ., გამოკითხვებით, დაინტერესებულ პირთა მოსაზრებების ანალიზით, სტუდენტთა თვითშეფასებით და ა.შ.). პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებების, სამიზნე ნიშნულებისა და რეალური შედეგების ანალიზი წარმოადგენს პროგრამაში ცვლილებების შეტანის

საფუძველს. პროგრამის შედეგები სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისთვის მიღწეულად ჩაითვლება დადგენილი სამიზნე სიშნულების მიღწევის შემთხვევაში.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდით შეფასების მიზნით შემუშავებულია კომპლექსური კურიკულუმის რუკა, სადაც მოცემულია თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსი შესაბამისი დონეების (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება), სამიზნე ნიშნულების, შესაფასებელი პრაქტიკული და თეორიული აქტივობების მითითებით. „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“-ს დოკუმენტის მიხედვით, სწავლის შედეგების შეფასება ხდება იმ სავალდებულო სასწავლო კურსებით, რომლებიც კურიკულუმის რუკის მიხედვით განმტკიცების დონეზე გადიან. წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმი და მისგან გამომდინარე კურიკულუმის რუკა საჭიროებს დაზუსტებას. სახელდობრ, პროგრამის 11 სწავლის შედეგზე განმტკიცების დონეზე გადის მხოლოდ 3 სავალდებულო სასწავლო კურსი და სამაგისტრო ნაშრომი. შესაბამისად, 11-ვე სწავლის შედეგი ფასდება შემდეგი სასწავლო და კვლევითი კომპონენტებით: „ომი და სტრატეგია“; „ეროვნული უსაფრთხოების ფორმირების პრინციპები;“ „უსაფრთხოების გამოწვევები, საფრთხეები და თანამედროვე ტექნოლოგიები“ და „სამაგისტრო ნაშრომი“.

11-ვე სწავლის შედეგზე გამსვლელი სავალდებულო კურსები, გარდა სამაგისტრო ნაშრომისა, ისწავლება პირველ სასწავლო წელს, კერძოდ კი მეორე სემესტრში, სამაგისტრო ნაშრომის დაცვა კი ხდება მე-4-ში. აღნიშნული რუკის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგები უკვე დაძლეულია პირველივე სასწავლო წელს. პირველ სემესტრში წარმოდგენილი სასწავლო კურსების შინაარსიდან გამომდინარე ბუნდოვანია თუ როგორც ხდება პირველ სემესტრში სწავლის შედეგების გაცნობა და გაფართოება იმ დონეზე, რომ უკვე მეორე სემესტრში პროგრამის 11-ვე შედეგი მიღწეულად ჩაითვალოს და განმტკიცების დონეზე გავიდეს. ამავდროულად, პროგრამის სტრუქტურის შესწავლისას გამოიკვეთა მისი მოდიფიცირების საჭიროების საკითხი, რაც გარკვეულწილად გამოიწვევს პროგრამის კურიკულუმის რუკის ცვლილებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **რეკომენდებულია**, გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის კურიკულუმის რუკა.

როგორც აღვნიშნეთ, დაწესებულებაში დანერგილია პროგრამის სწავლის შედეგების არაპირდაპირი მეთოდებით შეფასების პრაქტიკაც სისტემური და საჭიროებაზე მორგებული კვლევებისა თუ გამოკითხვების მეშვეობით. ამ მიზნით, წარმოდგენილი პროგრამისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი გამოკითხვის ფორმები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ნაკლებად იცნობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებსა და მექანიზმებს. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია, მისი განხორციელებისა და შეფასების პრაქტიკა პერსონალს ჯერ არ გააჩნია, სამომავლოდ **სასურველია,** პროგრამის პერსონალი დაწვრილებით გაეცნოს სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით როგორც საუნივერსიტეტო

მიდგომებსა და ძირითად სამოქმედო პრინციპებს, ისე საკუთრივ პროგრამისთვის შემუშავებულ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის რუკები
- გამოკითხვის ფორმები
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის კურიკულუმის რუკა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის პერსონალი დაწვრილებით გაეცნოს სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით როგორც საუნივერსიტეტო მიდგომებსა და ძირითად სამოქმედო პრინციპებს, ისე საკუთრივ პროგრამისთვის შემუშავებულ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	☒	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ში შემუშავებული დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ დეტალურად მიმოიხილავს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, მოდიფიცირების, გაუქმების, შეფასების და სხვ. პროცედურებს. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით. პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა მეტწილად დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით. განსაკუთრებით მისასალმებელია ზოგიერთი დამსაქმებლის ინტერესი და აქტიურობა პროგრამის დაგეგმვის პროცესში. **სასურველია,** უსდ-მა უზრუნველყოს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეტი ჩართულობა პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირების და სხვ. პროცესებში.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამა 120 კრედიტიანია, ყველა სასწავლო კურსი, გარდა პრაქტიკის სილაბუსისა (12 ECTS) 6 კრედიტიანია და 1 ECTS =25 საათს. პროგრამის სტრუქტურა შედგება სასწავლო (102 ECTS) და კვლევითი კომპონენტისგან (სამაგისტრო ნაშრომი, 18 ECTS). სასწავლო კომპონენტი გულისხმობს სავალდებულო (84 ECTS) და არჩევით (36 ECTS) სასწავლო კურსებს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ არჩევითი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, აირჩიოს სხვადასხვა სასწავლო კურსი ან არჩევითი ბლოკი (კიბერუსაფრთხოება ან რეგიონული უსაფრთხოება). არჩევით კომპონენტში ასევე მოაზრებულია პრაქტიკა (12 ECTS). სავალდებულო და არჩევითი ნაწილების პროპორციული მიმართება და არჩევითი სასწავლო კურსების/ბლოკების მრავალფეროვნება მისასალმებელია. სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისთვის უნიფიცირებული წესით 6 კრედიტის მინიჭება არ აჩენს შეკითხვებს სასწავლო კურსების სილაბუსების გათვალისწინებით, გარდა პრაქტიკის არჩევითი სასწავლო კურსისა, რომელსაც მინიჭებული აქვს 12 კრედიტი, რაც აჩენს შეკითხვებს როგორც თავად სილაბუსის შინაარსის გათვალისწინებით (სასწავლო კურსი გულისხმობს მხოლოდ 16 საკონტაქტო საათს), ასევე სხვა სასწავლო კურსების 6 კრედიტიანი მოცულობისა და სავალდებულო კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) 18 კრედიტის მოცულობის გათვალისწინებით. სააკრედიტაციო ჯგუფის მოსაზრებით, პრაქტიკის არჩევითი სასწავლო კურსი პროგრამის სტრუქტურაში უნდა განისაზღვროს 6 კრედიტით სხვა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების მსგავსად. **რეკომენდებულია,** პროგრამის სტრუქტურაში პრაქტიკის არჩევითი სასწავლო კურსი გახდეს 6 კრედიტიანი.

სავალდებულო კომპონენტის სასწავლო კურსები აქცენტს აკეთებს დარგის სხვადასხვა ასპექტებზე (საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოება, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები და საერთაშორისო პოლიტიკა, დაზვერვა, კიბერუსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება და სხვ.) მეთოდოლოგიური ნაწილი წარმოდგენილია სასწავლო კურსით „კვლევის მეთოდები“. არჩევითი სასწავლო კურსებით სტუდენტს ეძლევა საშუალება გაიღრმავოს ცოდნა დარგის რომელიმე კონკრეტულ ქვედარგში (სამართალი, პოლიტიკა, ფინანსები და სხვ.), დაეუფლოს მეორე უცხო ენას ან არჩევითი

ბლოკის საშუალებით გაიღრმავოს ცოდნა კიბერუსაფრთხოების ან რეგიონული თემატიკის მიმართულებით. წარმოდგენილი სტრუქტურა მეტწილად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსით, მოცულობითა და კომპლექსურობით სწავლების საფეხურთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობას. ასევე, ითვალისწინებს სფეროს თანამედროვე მიღწევებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის კომპლექსურობა და მულტიდისციპლინური ხასიათი მიგვაჩნია პროგრამის დადებით მახასიათებლად რაც ანიჭებს პროგრამას ინდივიდუალურ ხასიათს და უზრუნველყოფს სფეროს თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებას, მაგრამ ამავდროულად სწორედ პროგრამის მულტიდისციპლინურობა აჩენს გარკვეულ შეკითხვებს და ზოგიერთ შემთხვევაში ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სხვადასხვა ქვედარგებისა და უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტების შემსწავლელი სასწავლო კურსები არის ფრაგმენტულად, ჰოლისტიკური ხედვის გარეშე წარმოდგენილი, რაც აჩენს სტრუქტურის თანმიმდევრულობისა და დაშვების წინაპირობებთან შესატყვისობის პრობლემას. კერძოდ, პროგრამის წინაპირობა არ არის დარგობრივად შეზღუდული, რაც გამართლებულად მიგვაჩნია. მაგისტრატურაზე ჩაბარების მსურველს უნდა ჰქონდეს ნებისმიერი დარგის საბაკალავრო განათლება და უსდ-ში ჩააბაროს უცხო ენის (B2 დონე) გამოცდა და ზეპირი გასაუბრება სპეციალობაში. როგორც ფაკულტეტის სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა ინტერვიუების პროცესში აღნიშნეს, გასაუბრებაზე ძირითადი აქცენტი კეთდება სტუდენტის მოტივაციაზე, მის ტრანსფერულ უნარებზე და არა კონკრეტულ დარგობრივ ცოდნაზე. პროგრამაზე მიღების აღნიშნული წინაპირობები მიგვაჩნია ლოგიკურად და გამართლებულად (შესაბამისად, 2.1. ქვესტანდარტში არ არის რეკომენდაცია გაცემული წინაპირობების ცვლილებასთან დაკავშირებით), თუმცა პროგრამის სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა დარგობრივი ცოდნით მისული სტუდენტისთვის სიღრმისეული და სისტემური, მაგისტრატურის საფეხურისთვის შესაბამისი ცოდნის მიღების შესაძლებლობა. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, პირველ სემესტრში სტუდენტი გადის 5 სავალდებულო სასწავლო კურსს: „დაზვერვა ომსა და მშვიდობაში“, „საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა“, „ეკონომიკური უსაფრთხოება“, „გეოპოლიტიკა“, „კიბერუსაფრთხოება“. აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსის მიხედვით, ჩნდება შეკითხვა, რამდენად შესაძლებელია აღნიშნული სასწავლო კურსებით მიიღოს სტუდენტმა შესავალი დარგობრივი ცოდნა. მაგალითად, სასწავლო კურსის „კიბერუსაფრთხოება“ სილაბუსი ეყრდნობა სავალდებულო ლიტერატურას, რომელიც მოითხოვს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში წინარე ცოდნას. სილაბუსში მითითებული 13 სალექციო კვირიდან 11 სალექციო თემა დაფუძნებულია ისეთ სასწავლო მასალაზე, რომელშიც პირდაპირ არის მითითებული, რომ აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოყენება შეუძლია მინიმუმ ორი წლის IT პრაქტიკული გამოცდილების პირს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სტუდენტს ეძლევა საშუალება არჩევითი ბლოკის „კიბერუსაფრთხოება“ საშუალებით კიდევ უფრო გაიღრმავოს ცოდნა აღნიშნული მიმართულებით, რაც უდაოდ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური მახასიათებელია, თუმცა სტუდენტმა უნდა შეძლოს კიბერ მიმართულების სხვადასხვა

ასპექტების შემსწავლელი სასწავლო კურსების დაძლევა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სტუდენტს საბაკალავრო დონეზე შესაძლებელია მიღებული ჰქონდეს განათლება ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით და მას უნდა მიეცეს საშუალება, არ გაიაროს სავალდებულოდ შესავალი კურსი საინფორმაციო ტექნოლოგიებში. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, **რეკომენდებულია,** საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსი, რომელიც ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტს მისცემს შესავალ ცოდნას ინფორმაციულ ტექნოლოგიებში უსაფრთხოების კიბერ განზომილებასთან დაკავშირებული სხვა სასწავლო კურსების შინაარსების გათვალისწინებით და რომელიც შექმნის წინაპირობას კიბერ მიმართულების სხვა სასწავლო კურსებისთვის.

სავალდებულო სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა“ ერთგვარი ნაზავია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების, პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტების. პოლიტიკის მეცნიერებების რომელიმე საბაკალავრო კვალიფიკაციის მქონე სტუდენტისთვის, კურსი დატოვებს სხვადასხვა საკითხების ხელოვნურად გაერთიანების შთაბეჭდილებას. არადარგობრივი კვალიფიკაციის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის, შეუძლებელი იქნება წარმოდგენილი სასწავლო კურსით დარგობრივი ცოდნის საფუძველის შექმნა პოლიტიკის მეცნიერებების რომელიმე ქვედარგში. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, აღნიშნული სასწავლო კურსი ვერ ქმნის წინაპირობას სხვა სავალდებულო თუ არჩევითი სასწავლო კურსებისთვის. სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტები უნდა ქმნიდეს საერთაშორისო უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტის შესწავლის წინაპირობას, ხოლო პოლიტიკის თემატიკის (პოლიტიკური ინსტიტუტები, პოლიტიკური პროცესები და სხვ.) შესწავლა უნდა გახდეს წინაპირობა ეროვნული უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტების შესწავლისთვის (პროგრამაში წარმოდგენილი მსგავსი სასწავლო კურსები სილაბუსების შინაარსის მიხედვით, მოიაზრებს სტუდენტის გარკვეულ შესავალ ცოდნას როგორც სხვადასხვა ინსტიტუტის ფუნქციონირების სპეციფიკის, ასევე ინსტიტუციური ქმედებების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ). წარმოდგენილი სასწავლო კურსი, სილაბუსის შინაარსის გათვალისწინებით, ვერ უზრუნველყოფს პოლიტიკის მეცნიერების შესავალი ცოდნის გადაცემას და წინაპირობის შექმნას იმ სასწავლო კურსებისთვის, რომელიც შიდა პოლიტიკური პროცესების გარკვეულ ცოდნას მოითხოვს. **რეკომენდებულია,** საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას დაემატოს პოლიტიკის მეცნიერების შემსწავლელი სავალდებულო სასწავლო კურსი, რომელიც შეისწავლის პოლიტიკის მეცნიერების ძირითად საფუძვლებს და მისი შინაარსი ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ შექმნას წინაპირობა იმ სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისთვის, რომელთა სწავლება პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პოლიტიკური პროცესების გარკვეულ ცოდნას მოითხოვს.

წარმოდგენილი სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა“ სილაბუსი სრულად უნდა დაეთმოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს,

მოხდეს როგორც სათაურის, ასევე შინაარსის მოდიფიცირება და შექმნას წინაპირობა სხვა სასწავლო კურსებისთვის, რომლებშიც უსაფრთხოების საერთაშორისო ასპექტებზე კეთდება აქცენტი (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რეკომენდაცია გაცემულია 1.5. ქვესტანდარტში).

პროგრამის სტრუქტურის მეთოდოლოგიური სასწავლო კურსია „კვლევის მეთოდები“, რომელიც შინაარსის მიხედვით კვლევის მეთოდებისა და კვლევის დიზაინის ერთგვარი ჰიბრიდია (აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსის სათაურთან შესაბამისობასა და შინაარსის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით, რეკომენდაცია გაცემულია 1.5. ქვესტანდარტში). სასწავლო კურსები აკადემიური წერა და/ან კვლევის დიზაინი შესაძლებელია სტუდენტს გავლილი ჰქონდეს საბაკალავრო საფეხურზე, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით, სტუდენტს შესაძლებელია არ ჰქონდეს გავლილი მსგავსი სასწავლო კურსები, არ ჰქონდეს მომზადებული საბაკალავრო ნაშრომი (ან არ ჰქონდეს აღნიშნული გამოცდილება სამაგისტრო პროგრამის სფეროში ან მომიჯნავე სპეციალობებში). **სასურველია,** საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას დაემატოს აკადემიური წერისა და კვლევის დიზაინის შემსწავლელი სავალდებულო ან არჩევითი სასწავლო კურსი, რომლის შინაარსი განისაზღვრება სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია მეორე უცხო ენის სწავლება. კურიკულუმში წარმოდგენილია ჩინური და არაბული ენების სილაბუსები, და როგორც ვიზიტის დროს დადასტურდა, ასევე მომზადებულია რეგიონული ენების შემსწავლელი სილაბუსები (რუსული, თურქული), რომელიც დაემატება კურიკულუმს. უდაოდ მისასალმებელია სტუდენტისთვის მეორე უცხო ენის დაუფლების შესაძლებლობა და მეორე უცხო ენად შერჩეული უცხოური ენების ჩამონათვალი. წარმოდგენილი სილაბუსების მიხედვით, უცხო ენის სწავლება დაყოფილია 2 ნაწილად (ჩინური ენა 1, ჩინური ენა 2, არაბული ენა 1, არაბული ენა 2, სადაც მეორე დონის სილაბუსებში წინაპირობად მითითებულია პირველი), თუმცა პროგრამის კურიკულუმში ფიქსირდება უცხო ენის შემსწავლელი მხოლოდ ერთი სასწავლო კურსის დასახელება, რაც მიგვაჩნია ტექნიკურ შეცდომად. **სასურველია,** პროგრამის კურიკულუმი წარმოდგენილ იქნას ტექნიკური ხარვეზების გარეშე, დაფიქსირდეს უცხო ენის შემსწავლელი სასწავლო კურსები 2 სასწავლო კურსად, სადაც მეორე სასწავლო კურსის წინაპირობა იქნება პირველი სასწავლო კურსი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ენის მეორე დონის შემსწავლელ სასწავლო კურსზე წინაპირობის გარეშე დაიშვება სტუდენტი შესაბამისი სერთიფიკატის წარმოდგენით/შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებით.

აღსანიშნავია, რომ პირველი სემესტრის სასწავლო კურსები, გარდა სასწავლო კურსისა „დაზვერვა ომსა და მშვიდობაში“, არ ქმნის წინაპირობას სხვა სემესტრების სასწავლო კურსებისთვის. მაგალითად, „კიბერუსაფრთხოება“ არ ქმნის წინაპირობას არჩევითი ბლოკის „კიბერუსაფრთხოება“ სასწავლო კურსებისთვის, „საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა“ არ ქმნის წინაპირობას ისეთი არჩევითი სასწავლო კურსისთვის, როგორიცაა „დემოკრატიული ზედამხედველობა უსაფრთხოების სექტორზე“ და სხვ. ზოგადად, კურიკულუმში წინაპირობა მხოლოდ 2 სასწავლო კურსს, პრაქტიკას და სამაგისტრო

ნაშრომს უფიქსირდება. შესაბამისად, ძნელია დადგინდეს რა ლოგიკით არის დალაგებული სასწავლო კურსები ამ თანმიმდევრობით და უმეტეს შემთხვევაში ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ პროგრამის სტრუქტურა არ ითვალისწინებს მარტივიდან რთულისკენ, ზოგადიდან კერძოსკენ ლოგიკას. ზოგიერთი არჩევითი სასწავლო კურსი მეტ შესავალ საკითხებს შეიცავს, ვიდრე პირველ-მეორე სემესტრში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსები. მაგალითად, შეკითხვებს აჩენს პირველი სემესტრის სასწავლო კურსის „დაზვერვა ომსა და მშვიდობაში“ წინაპირობად გამოყენება მეორე სემესტრის ორი სასწავლო კურსისთვის. ასევე არჩევითი ბლოკის „რეგიონული უსაფრთხოება“ არც ერთ სასწავლო კურსს წინაპირობად არ უფიქსირდება ის სავალდებულო სასწავლო კურსები, რომლებიც შეისწავლის უსაფრთხოებას. ეკონომიკური მიმართულება კურიკულუმში წარმოდგენილია 2 სასწავლო კურსით: პირველი სემესტრის სავალდებულო კურსი „ეკონომიკური უსაფრთხოება“ და არჩევითი სასწავლო კურსი „ფინანსები და უსაფრთხოება: ტერორიზმის დაფინანსება, ფულის გათეთრება, კორუფცია, და სანქციები“. წინაპირობები ამ მიმართულების სასწავლო კურსებშიც არ ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის შეკითხვები ფიქსირდება გარე შემფასებლის შეფასებაშიც. ზემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები, გარკვეულწილად ხელს შეუწყობს აღნიშნული პრობლემის მოგვარებას, თუმცა არ იქნება საკმარისი. პროგრამის ხელმძღვანელებმა და პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა პირებმა პროგრამის სტრუქტურაში ახალი სილაბუსების ჩართვის შემდეგ, უნდა მოახდინონ პროგრამის სტრუქტურის ხელახალი გადააზრება და მისი იმგვარად მოდიფიცირება, რომ სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები წინაპირობებით იქნას ერთმანეთთან დაკავშირებული, პრიორიტეტად განისაზღვროს სტუდენტის ინტერესი, ნებისმიერი კვალიფიკაციის სტუდენტმა მიიღოს შესაძლებლობა ცოდნას დაეუფლოს მარტივიდან რთულისკენ, ზოგადიდან კერძოსკენ ლოგიკის გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **რეკომენდებულია,** საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომ პროგრამის სტრუქტურა წარმოაჩენდეს მარტივიდან რთულისკენ, ზოგადიდან კერძოსკენ ლოგიკას; მსგავსი ასპექტების შემსწავლელი სასწავლო კურსები აღქმულ იქნას ჰოლისტიკური მიდგომით, სადაც სავალდებულო სასწავლო კურსმა უნდა შექმნას წინაპირობა სხვა სასწავლო კურსებისთვის. პროგრამის სტრუქტურაში აღნიშნული ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია მოხდეს სასწავლო კურსის/კურსების დამატებით ან/და არსებული სასწავლო კურსების შინაარსების სინქრონიზაციით/შესავალი თემების დამატებით ან/და სასწავლო კურსების გადანაცვლებით.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის რუკაში, გარდა სამაგისტრო ნაშრომისა, მხოლოდ 3 სავალდებულო კურსი არის შეფასებული როგორც სწავლის შედეგების მესამე დონეზე (განმტკიცება) გამსვლელი (აღნიშნულ საკითხზე რეკომენდაცია გაცემულია 1.3. ქვესტანდარტში). პროგრამა ახალია, და პროგრამის რუკის დახვეწა მოხდება პრაქტიკაში, სწავლის შედეგების შეფასების პროცესში, თუმცა წარმოდგენილი პრობლემა ასევე ადასტურებს, რომ კურიკულუმის შედგენაში ჩართულ სფეროს/დარგის სპეციფიკაზე პასუხისმგებელ პირებს (პროგრამის ხელმძღვანელები, თვითშეფასების

ჯგუფის დარგობრივი ექსპერტები) გაუჭირდათ პროგრამის ერთიანი ლოგიკით აღქმა. გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა 1.3. ქვესტანდარტში, პროგრამის წარმოდგენილი სტრუქტურის მიხედვით რჩება შთაბეჭდილება, რომ II სემესტრის დასრულების შემდეგ სტუდენტი გადის პროგრამის ყველა შედეგზე. აღნიშნულ პრობლემას, სააკრედიტაციო ჯგუფის აზრით, ქმნის პროგრამის სტრუქტურის იმგვარად წარმოდგენაც, როდესაც I-II სემესტრები დათმობილი აქვს მხოლოდ სავალდებულო სასწავლო კურსებს, ხოლო არჩევითი კურსები წარმოდგენილია მესამე სემესტრიდან. **რეკომენდებულია,** პროგრამის სტრუქტურა გახდეს უფრო მოქნილი და არჩევითი სასწავლო კურსი/კურსები (სავალდებულო არჩევითი/არჩევითი/არჩევითი ბლოკების სასწავლო კურსი/კურსები) პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას პირველივე სემესტრიდან.

სააკრედიტაციო ჯგუფის მოსაზრებით, ზემოთ ხსენებული რეკომენდაციები სტრუქტურული ცვლილებების შესახებ, გაამარტივებს პროგრამის ერთიან, ჰოლისტიკურ ხედვას და სასწავლო კურსების ლოგიკურ ბმას.

პროგრამის შინაარსი, პროგრამის სწავლის სფეროსა და საფეხურის თავისებურებებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს, თუმცა უნდა აღინიშნოს ერთი საკითხი. საგანმანათლებლო პროგრამა ქართულენოვანია. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ითვალისწინებს ტესტირებას ინგლიურ ენაში (B2 დონე), სილაბუსების სავალდებულო ლიტერატურის უდიდესი ნაწილი წარმოდგენილია ინგლისურენოვანი ლიტერატურით, ხოლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ არა ერთ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს უდასტურდება ინგლისური ენის თავისუფლად ფლობა, პროგრამაში ლოგიკური იქნებოდა ინგლისურენოვანი არჩევითი სასწავლო კურსების არსებობა. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ ერთ სილაბუსში ფიქსირდება ჩანაწერი, რომ სტუდენტს შეუძლია სასწავლო კურსი გაიაროს ქართულად ან ინგლისურად, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე სწავლების შესაძლებლობა და აღნიშნული ჩანაწერი მიგვაჩნია ტექნიკურ შეცდომად. საგანმანათლებლო პროგრამაში ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების დამატება გააძლიერებდა პროგრამას და ხელს შეუწყობდა მის ინტერნაციონალიზაციას. **სასურველია,** პროგრამის სტრუქტურას დაემატოს ინგლისურენოვანი სავალდებულო ან არჩევითი სასწავლო კურსები ან სტუდენტებს მიეცეს არჩევანი ესა თუ ის სასწავლო კურსი გაიაროს ქართულ ან ინგლისურ ენებზე.

პროგრამის შინაარსი მეტწილად შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ზემოთხსენებული სტრუქტურული ცვლილებების გათვალისწინების შემდეგ, პროგრამის სტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას პროგრამის ვეგვერდზე განთავსების საშუალებით. ასევე, მისასალმებელია, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში პროგრამის აღწერილობა განთავსებული იყო ვებვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს

ჰქონდა შესაძლებლობა გამოეხატა საკუთარი მოსაზრებები პროგრამის შემუშავების პროცესში, რაც გვაფიქრებინებს, რომ დაინტერესებული პირების ჩართულობა ხელშეწყობილი იქნება უსდ-ის მიერ პროგრამის მოდიფიცირებისა და განვითარების პროცესშიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგანმანათლებლო პროგრამა, თანდართული სილაბუსებით
- საგანმანათლებლო პროგრამის რუკა
- უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის გარე შემფასებლების შეფასებები
- ინტერვიუს შედეგები
- უსდ-ის ვებგვერდი https://btu.edu.ge/

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურაში პრაქტიკის არჩევითი სასწავლო კურსი გახდეს 6 კრედიტიანი.

რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსი, რომელიც ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტს მისცემს შესავალ ცოდნას ინფორმაციულ ტექნოლოგიებში უსაფრთხოების კიბერ განზომილებასთან დაკავშირებული სხვა სასწავლო კურსების შინაარსების გათვალისწინებით და რომელიც შექმნის წინაპირობას კიბერ მიმართულების სხვა სასწავლო კურსებისთვის.

რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას დაემატოს პოლიტიკის მეცნიერების შემსწავლელი სავალდებულო სასწავლო კურსი, რომელიც შეისწავლის პოლიტიკის მეცნიერების ძირითად საფუძვლებს და მისი შინაარსი ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ შექმნას წინაპირობა იმ სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისთვის, რომელთა სწავლება პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პოლიტიკური პროცესების გარკვეულ ცოდნას მოითხოვს.

რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომ პროგრამის სტრუქტურა წარმოაჩენდეს მარტივიდან რთულისკენ, ზოგადიდან კერძოსკენ ლოგიკას; მსგავსი ასპექტების შემსწავლელი სასწავლო კურსები აღქმულ იქნას ჰოლისტიკური მიდგომით, სადაც სავალდებულო სასწავლო კურსმა უნდა შექმნას წინაპირობა სხვა სასწავლო კურსებისთვის. პროგრამის სტრუქტურაში აღნიშნული ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია მოხდეს სასწავლო კურსის/კურსების დამატებით ან/და არსებული სასწავლო კურსების შინაარსების სინქრონიზაციით/შესავალი თემების დამატებით ან/და სასწავლო კურსების გადანაცვლებით.

რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურა გახდეს უფრო მოქნილი და არჩევითი სასწავლო კურსი/კურსები (სავალდებულო არჩევითი/არჩევითი/არჩევითი ბლოკების სასწავლო კურსი/კურსები) პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას პირველივე სემესტრიდან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, უსდ-მა უზრუნველყოს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეტი ჩართულობა პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირების და სხვ. პროცესებში.

სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას დაემატოს აკადემიური წერისა და კვლევის დიზაინის შემსწავლელი სავალდებულო ან არჩევითი სასწავლო კურსი, რომლის შინაარსი განისაზღვრება სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასურველია, პროგრამის კურიკულუმი წარმოდგენილ იქნას ტექნიკური ხარვეზების გარეშე, დაფიქსირდეს უცხო ენის შემსწავლელი სასწავლო კურსები 2 სასწავლო კურსად, სადაც მეორე სასწავლო კურსის წინაპირობა იქნება პირველი სასწავლო კურსი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ენის მეორე დონის შემსწავლელ სასწავლო კურსზე წინაპირობის გარეშე დაიშვება სტუდენტი შესაბამისი სერთიფიკატის წარმოდგენით/შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებით.

სასურველია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს ინგლისურენოვანი სავალდებულო ან არჩევითი სასწავლო კურსები ან სტუდენტებს მიეცეს არჩევანი ესა თუ ის სასწავლო კურსი გაიაროს ქართულ ან ინგლისურ ენებზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „საერთაშორისო უსაფრთხოება და ტექნოლოგიები“ წარმოდგენილია 11 სავალდებულო და 18 არჩევითი სასწავლო კურსით, რომელთაგან 9 არჩევითი სასწავლო კურსი ქმნის 2 არჩევით ბლოკს („კიბერუსაფრთხოება“, „რეგიონული უსაფრთხოება“). პროგრამის ყველა სასწავლო კურსი 6 კრედიტიანია (150 საათი). უცხო ენებისა და პრაქტიკის სილაბუსების გარდა, ყველა სილაბუსში საკონტაქტო საათებია 32 , დამოუკიდებელი საათები - 118 (უცხო ენის სილაბუსებში საკონტაქტო საათები შეადგენს 68 საათს, პრაქტიკის სილაბუსში 16 საათს). სწავლების საფეხურის, პროგრამის კომპლექსური ხასიათის, სილაბუსების შინაარსისა და სავალდებულო სასწავლო მასალის მოცულობის გათვალისწინებით, სასწავლო კურსების მოცულობის 6 კრედიტით განსაზღვრა გამართლებულად მიგვაჩნია, ასევე ლოგიკურად მიგვაჩნია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა (პრაქტიკის სილაბუსის კრედიტებთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაცემულია 1.4. ქვესტანდარტში).

პროგრამის სავალდებულო მეთოდოლოგიური სასწავლო კურსია „კვლევის მეთოდები“, რომელიც III სემესტრის ერთადერთი სავალდებულო სასწავლო კურსია. შინაარსის მიხედვით, სასწავლო კურსი აერთიანებს კვლევის მეთოდებსა და კვლევის დიზაინს და უნდა მოხდეს სილაბუსის შინაარსის სათაურთან შესაბამისობა (კვლევის მეთოდები). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსის სავალდებულო სასწავლო მასალა და დამატებითი ლიტერატურის დიდი ნაწილიც წარმოადგენს ლიტერატურას ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ აღნიშნული სილაბუსი არ შექმნილა კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისთვის და საერთო სილაბუსია სხვადასხვა დარგის კურიკულუმებისთვის. წარმოდგენილი პროგრამის დარგობრივი სპეციფიკისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სილაბუსის შინაარსი გახდეს სოციალურ კვლევის მეთოდებზე ორიენტირებული და შერჩეულ იქნას შესაბამისი სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. გარდა აღნიშნულისა, სილაბუსის შინაარსი უნდა გაძლიერდეს რაოდენობრივი კვლევის მეთოდების საკითხებით. უნდა აღინიშნოს, რომ გარე შემფასებლის შეფასებაში (მადრიდის უნივერსიტეტი), რომელსაც სავარაუდოდ არა სრული სილაბუსი, არამედ პროგრამის გარკვეული აღწერილობები ჰქონდა წარდგენილი, დადებით მახასიათებლად არის წარმოდგენილი თვისებრივ და რაოდენობრივ კვლევით მეთოდებზე აქცენტი, რაც სილაბუსის შინაარსის მიხედვით არ არის უზრუნველყოფილი.

შესაბამისად, რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები“ სილაბუსში განხორციელდეს შინაარსის,სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის იმგვარი ცვლილებები, რომ სილაბუსი შეესაბამებოდეს სათაურს (კვლევის მეთოდები), აქცენტს აკეთებდეს როგორც თვისებრივ, ასევე

რაოდენობრივ კველევით მეთოდებზე სფეროს სპეციფიკისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

სილაბუსის შინაარსისა და სავალდებულო ლიტერატურის გათვალისწინებით, არჩევითი სასწავლო კურსის „კომუნიკაცია და ლიდერობა“ სილაბუსი ასევე ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ სილაბუსი შედგენილია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „კომუნიკაცია და ლიდერობა“ სილაბუსი მომზადდეს წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, სადაც აქცენტი ლიდერობის ზოგადი თეორიების გარდა გაკეთდება პოლიტიკურ/სამხედრო ლიდერობაზე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსების „კვლევის მეთოდები“ და „კომუნიკაცია და ლიდერობა“ სილაბუსების შინაარსის და ლიტერატურის მოდიფიცირება სფეროს სპეციფიკისა და საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის გათვალისწინებით; ასევე, უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები“ სათაურთან შესაბამისობა და სილაბუსის შინაარსში აქცენტის გაკეთება როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ კველევით მეთოდებზე.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსი „კომუნიკაცია და ლიდერობა“ აერთიანებს ორ, თავის მხრივ საკმაოდ მოცულობით ქვედარგებს, როგორიცაა კომუნიკაცია და ლიდერობა, რამაც შესაძლებელია გაართულოს რომელიმე მიმართულების ჯეროვნად აღქმა და სწორი აქცენტების გაკეთება. **სასურველია,** არჩევითი სასწავლო კურსი „კომუნიკაცია და ლიდერობა“ ჩამოყალიბდეს ორ დამოუკიდებელ სასწავლო კურსად.

სავალდებულო სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა“ სილაბუსი შინაარსის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და საერთაშორისო პოლიტიკის ჰიბრიდია, და რეკომენდებულია დაზუსტდეს სათაური როგორც „საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო პოლიტიკა“. გარდა სათაურისა, სილაბუსის შინაარსმა გარკვეული შეკითხვები გააჩინა აკრედიტაციის ჯგუფის დარგობრივი ექსპერტებისთვის თემატიკის ლოგიკური ბმისა და გამოყენებული ლიტერატურის მხრივ. მაგალითად, სილაბუსის პირველი თემა აქცენტს აკეთებს საერთაშორისო ურთიერთობების კონკრეტული სკოლის (ლიბერალიზმი) მხოლოდ ერთ კონკრეტულ თეორიაზე (დემოკრატიული მშვიდობის თეორია); IV, VI, VII თემების მიხედვით, ჯერ განხილულია ნაის თანამედროვე, პოსტმოდერნისტული თეორია, შემდეგ კონსტრუქტივიზმი (ცივი ომის შემდგომი პერიოდი), და შემდეგ რეალიზმი, რომლის შექმნა და დომინირება დაკავშირებულია მეორე მსოფლიო ომთან... ზოგადად, სილაბუსის თემატიკის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები და საერთაშორისო პოლიტიკის თემები მონაცვლეობს, რაც გაართულებს სტუდენტისთვის ამ ორი მიმართულების აღქმას და ურთიერთკავშირის გამოკვეთას. ასევე, ლიტერატურაში წარმოდგენილია საერთაშორისო ურთიერთობების ნეო სკოლების ავტორები, თუმცა სილაბუსის შინაარსში არ ჩანს ნეო სკოლებთან დაკავშირებული საკითხები. სილაბუსის რამდენიმე თემა ეხება საერთაშორისო პოლიტიკის

კლასიკურ თემატიკას, და ასევე 2 თემა ეძღვნება პოლიტიკის თემების (დემოკრატიზაცია, ავტორიტარიზმი) უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებას (საერთაშორისო ურთიერთობების/საერთაშორისო პოლიტიკის გამიჯვნა პოლიტიკის მეცნიერების თემატიკასთან ასახულია რეკომენდაციის სახით 1.4. ქვესტანდარტში). სილაბუსის ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა ეფუძნება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების წყაროებს და რიდერს (რომელიც ასევე შედგენილია წყაროებზე დაყრდნობით), როგორც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების, ასევე საერთაშორისო პოლიტიკის ასპექტების შესასწავლად. ლიტერატურაში არ არის წარმოდგენილი არც ერთი ზოგადი ხასიათის სახელმძღვანელო, რაც პირველი სემესტრის სტუდენტს გაუადვილებდა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა და საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტის აღქმას და შესწავლას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა“ სილაბუსი ჩამოყალიბდეს როგორც „საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო პოლიტიკა“, სადაც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები/თეორიები წარმოდგენილი იქნება თანმიმდევრულად, საერთაშორისოდ აღიარებული კლასიფიკაციების თანახმად, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკის თემატიკა წარმოდგენილი იქნება თეორიული საფუძვლის შემდეგ, თეორიისა და საერთაშორისო პრაქტიკის ურთიერთკავშირის გამოკვეთით. ასევე, ძირითად და დამატებით ლიტერატურაში წყაროების გარდა, გამოყენებულ უნდა იქნას სახელმძღვანელოს ტიპის ლიტერატურა, რისი დიდი არჩევანიც არსებობს ინგლისურენოვან ლიტერატურაში და ზოგიერთი სახელმძღვანელო თარგმნილია ქართულ ენაზეც.

უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის გარე შემფასებლების შეფასებები არის პოზიტიური როგორც პროგრამის სტრუქტურასთან, ასევე სასწავლო კურსებთან მიმართებითაც. თუმცა ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა რომისა და მადრიდის უნივერსიტეტების შემფასებლების მოსაზრებების გათვალისწინება. კერძოდ, პირველი შემფასებელი უსდ-ს ურჩევს NATO-ს, როგორც რეგიონის მთავარი უსაფრთხოების ორგანიზაციის შესახებ უფრო სიღრმისეულ სწავლებას, ხოლო გარე შემფასებელს მადრიდის უნივერსიტეტიდან უჩნდება შეკითხვა, რატომ არ არის პროგრამის სტრუქტურაში სასწავლო კურსები მეზობელი ქვეყნების შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია ევროინტეგრაცია, ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა უსაფრთხოების შემსწავლელ საგანმანათლებლო პროგრამაში ჯეროვანი ყურადღება მიექცეს რეგიონის მთავარ უსაფრთხოების ორგანიზაციას (NATO). პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილია სასწავლო კურსი, რომელიც ეძღვნება ევროინტეგრაციას (შესაბამისად, 1.4. ქვესტანდარტში არ არის გაცემული რეკომენდაცია ან რჩევა სასწავლო კურსის დამატების შესახებ). თუმცა ჩნდება შეკითხვა, აღნიშნული სასწავლო კურსი რამდენად უზრუნველყოფს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შესახებ სიღრმისეულ სწავლებას. ასევე იმის გათვალისიწნებით, რომ პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილია არჩევითი ბლოკი „რეგიონული უსაფრთხოება“ და იგეგმება რეგიონალური ენების სწავლებაც, რაციონალურად მიგვაჩნია დაისვას შეკითხვა მეზობელი ქვეყნების

შესახებ ინფორმაციის გამრავალფეროვნება/გაღრმავების შესახებ წარმოდგენილ სილაბუსებში. ასევე, ზემოხსენებული გარე შემფასებელი (მადრიდის უნივერსიტეტი) სვამს შეკითხვებს დაზვერვასთან, უსაფრთხოებასთან და უსაფრთხოების ეკონომიკურ სასწავლო კურსების შინაარსებთან დაკავშირებით, რამდენად არის უზრუნველყოფილი შინაარსების ლოგიკური გამიჯვნა და სილაბუსების შინაარსებში გადაფარვების თავიდან აცილება. აღნიშნულ სილაბუსებთან დაკავშირებით, სააკრედიტაციო ჯგუფსაც გაუჩნდა მსგავსი შეკითხვები. შინაარსობრივ გამიჯვნა/გადაფარვასთან დაკავშირებით შეკითხვა ჩნდება კიბერუსაფრთხოების მიმართულების ზოგიერთ სილაბუსთან მიმართებითაც. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით გაცემულია რამდენიმე რეკომენდაცია (ქვესტანდარტი 1.4.), რომელთა შესრულება თავისთავად მოიაზრებს სილაბუსების შინაარსებში გარკვეულ ცვლილებებსაც. აღნიშნული ცვლილებების განხორციელების პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა სასწავლო კურსების შინაარსების სინქრონიზაციას, რათა არ მოხდეს სფეროს სპეციფიკისთვის პრიორიტეტული საკითხების გამორჩენა, თავიდან იქნას არიდებული მსგავსი საკითხების შემსწავლელ სასწავლო კურსებში შინაარსობრივი გადაფარვები, უზრუნველყოფილ იქნას შინაარსობრივი გამიჯვნა (მათ შორის, თეორიული საკითხებისა და ქეისების განხილვის მიმართულებით). შესაბამისად, **რეკომენდებულია,** საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებში განხორციელდეს იმგვარი შინაარსობრივი ცვლილებები, რომ მოხდეს მსგავსი თემატიკის შემსწავლელ სილაბუსებში საკითხების ლოგიკური გამიჯვნა (მათ შორის, თეორისა და ქეისებს შორის, საერთაშორისო და ეროვნულ ასპექტებს შორის), შინაარსობრივი გადაფარვების თავიდან აცილება, სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე პრიორიტეტული საკითხების შესახებ (მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, რეგიონის მეზობელი ქვეყნები) ინფორმაციის გამრავალფეროვნება/გაღრმავება.

როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსებისა და სწავლის შედეგების სრული შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან უზრუნველყოფილი იქნება ზემოთხსენებული რეკომენდაციების გათვალისწინების შემდგომ.

სილაბუსებში გამოყენებული სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

უსდ-ს სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევისთვის შემუშავებული აქვს მექანიზმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- კურიკულუმის რუკა
- საგანმანათლებლო პროგრამის გარე შემფასებლების შეფასებები
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ინტერვიუს შედეგები
- უსდ-ის ვებგვერდი https://btu.edu.ge/

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „კვლევის მეთოდები“ და „კომუნიკაცია და ლიდერობა“ სილაბუსების შინაარსის და ლიტერატურის მოდიფიცირება სფეროს სპეციფიკისა და საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის გათვალისწინებით; ასევე, უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები“ სათაურთან შესაბამისობა და სილაბუსის შინაარსში აქცენტის გაკეთება როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ კველევით მეთოდებზე.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა“ სილაბუსი ჩამოყალიბდეს როგორც „საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო პოლიტიკა“, სადაც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები/თეორიები წარმოდგენილი იქნება თანმიმდევრულად, საერთაშორისოდ აღიარებული კლასიფიკაციების თანახმად, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკის თემატიკა წარმოდგენილი იქნება თეორიული საფუძვლის შემდეგ, თეორიისა და საერთაშორისო პრაქტიკის ურთიერთკავშირის გამოკვეთით. ასევე, ძირითად და დამატებით ლიტერატურაში წყაროების გარდა, გამოყენებულ უნდა იქნას სახელმძღვანელოს ტიპის ლიტერატურა, რისი დიდი არჩევანიც არსებობს ინგლისურენოვან ლიტერატურაში და ზოგიერთი სახელმძღვანელო თარგმნილია ქართულ ენაზეც.

რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებში განხორციელდეს იმგვარი შინაარსობრივი ცვლილებები, რომ მოხდეს მსგავსი თემატიკის შემსწავლელ სილაბუსებში საკითხების ლოგიკური გამიჯვნა (მათ შორის, თეორისა და ქეისებს შორის, საერთაშორისო და ეროვნულ ასპექტებს შორის), შინაარსობრივი გადაფარვების თავიდან აცილება, სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე პრიორიტეტული საკითხების შესახებ (მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, რეგიონის მეზობელი ქვეყნები) ინფორმაციის გამრავალფეროვნება/გაღრმავება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, არჩევითი სასწავლო კურსი „კომუნიკაცია და ლიდერობა“ ჩამოყალიბდეს ორ დამოუკიდებელ სასწავლო კურსად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება წარმოებს ბტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული (ოქმი #19, 29.08.2018) მაგისტრატურის დებულების შესაბამისად, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების და კრიტერიუმების შესახებ. დებულება შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგები (გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა). პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელმაც უნდა ჩააბაროს გასაუბრება სპეციალობაში და ტესტირება ინგლისურ ენაში (B2 დონე). სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, მისასალმებელია უცხო ენად ინგლისური ენის დაკონკრეტება და ენობრივი კომპეტენციის B2 დონით განსაზღვრა. უსდ-ის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასევე დაკონკრეტებულია, რა შემთხვევაში თავისუფლდება საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების მსურველი ინგლისური ენის ტესტირებისგან. კერძოდ, ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა შესაძლებელია დადასტურდეს სხვადასხვა დოკუმენტებით, რომელთა ჩამონათვალი დეტალურად არის

განხილული (უცხოეთში/საქართველოში ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი/დიპლომი); უცხოეთის/საქართველოს უსდ-ს მიერ გაცემული შესაბამისი ინფორმაციის შემცველი დიპლომის დანართი/ცნობა/სხვ.; შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის/წარმომადგენლობის/სხვ. მიერ გაცემული ვალიდური სერტიფიკატები/მოწმობები/სხვ., საერთაშორისო სერთიფიკატები (მაგ., Cambridge English First (FCE), IELTS 5-6.5, TOEFL paper 513-547, TOEFL iBT - 72-94, PTE General Level 3 59-75, BEC Vantage, TOEIC Listenins and Reading - 785, TOEIC Speaking and Writing - 310, Trinity ISE II).

საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე და პროგრამაზე ჩაბარების მსურველი, რომლისთვისაც მშობლიური ენა არ არის ქართული, ვალდებულია დაადასტუროს ქართული ენის არანაკლებ B1 დონის ფლობა (არსებობის შემთხვევაში წარმოადგინოს ქართული ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან გაიაროს შიდა გამოცდა (ტესტირება) ქართულ ენაში).

საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში ტარდება გასაუბრების სახით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, აქცენტი გაკეთდება საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნიერების ქვედარგებზე. როგორც ფაკულტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუების პროცესში აღინიშნა, ზეპირი გასაუბრების დროს განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სტუდენტის მოტივაციასა და ტრანსფერულ უნარებზე, რაც გამართლებულად მიგვაჩნია სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით. ასევე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობები არ არის შეზღუდული დარგობრივად, პროგრამის კურიკულუმში გვხვდება ჩანაწერი, რომელიც გასცემს რჩევას, რა ცოდნისა და კომპეტენციების მქონე პირისთვის იქნება სასურველი სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება და/ან სტუდენტობის მსურველმა სამაგისტრო პროგრამაზე სწავლი მიზანშეწონილობა განსაზღვროს პროგრამის შესახებ ინფორმაციის დეტალურად მიღებით თუ პროგრამის ხელმძღვანელებთან წინასწარი გასაუბრებით. აღნიშნულ ჩანაწერს აქვს რჩევის ხასიათი, თუმცა სიტყვამ „რეკომენდებულია“ შესაძლებელია შეცდომაში შეიყვანოს პროგრამაზე ჩაბარების მსურველი. ინტერვიუების პროცესში მრავალგზის დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები და უსდ-ის ადმინისტრაცია პროგრამის წინაპირობებში არ მოიაზრებს რაიმე სახის დარგობრივ შეზღუდვას. **სასურველია,** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ის ნაწილი, სადაც დარგობრივ კომპეტენციებზეა საუბარი, ფორმულირდეს ნათლად და გასაგებად.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს მობილობით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების მაგისტრანტებისთვის (მაგისტრანტების მიერ უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბტუ-ში არსებული განათლების (კრედიტების) აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით).

წარმოდგენილი პროგრამა ახალია, თუმცა ფაკულტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამების მაგალითის საფუძველზე, ბტუ-ს მაგისტრატურაში მიღების პირობები საჯაროა, გამჭვირვალე და მისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის უსდ-ს ვებვერდის საშუალებით. ბტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე(https://btu.edu.ge/stsavla/programebi/).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ბტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული (ოქმი #19, 29.08.2018) მაგისტრატურის დებულება
- უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ის ნაწილი, სადაც დარგობრივ კომპეტენციებზეა საუბარი, ფორმულირდეს ნათლად და გასაგებად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული

დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის სპეციალური (დარგობრივი) და ზოგადი (უნივერსალური) კომპეტენციების ჩამოყალიბებას. სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული სხვადასხვა მეთოდი სტუდენტებს უვითარებს როგორც ტრანსფერულ და ზოგად უნარ-ჩვევებს (ინსტრუმენტული კომპეტენციები, კოგნიტური უნარები, ანალიტიკური აზროვნება; კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება პრობლემის გადაჭრის გზის განსაზღვრის, დროის მენეჯმენტის, სამუშაოს დაგეგმვისა და ორგანიზების, გადაწყვეტილების მიღების უნარები), ასევე პრაქტიკულ და სამეცნიერო კვლევით უნარ-ჩვევევს. პროგრამის სტრუქტურაში მოცემული სასწავლო კურსების (ღია წყაროების ტექნოლოგიები და მონაცემთა ანალიზი, საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების მართვა საერთაშორისო სტანდარტებით, ტექნოლოგიური პროექტების კოლაბორაციული მართვა და სხვ.), სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებით, სტუდენტებს უვითარდებათ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, გაუთვალისწინებელ სიტუაციებთან ადაპტაციის, პროექტების მართვის, ინოვაციური საქმიანობის წარმართვის, ლიდერობის და სხვა უნარები. გარდა ამისა, პროგრამა ხელს უწყობს ინტერპერსონალური კომპეტენციების, ინფორმაციის კრიტიკული გააზრებისა და შეფასების, თვითკრიტიკის და თვითშეფასების დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობის, სოციალური მუშაობის, კრიტიკულ სიტუაციებში ადეკვატური ქცევის და სხვა უნარების გამომუშავებას. დასახელებული უნარებისა და სისტემური კომპეტენციების გამომუშავება ხდება სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდების მეშვეობით, რომლებიც პროგრამით არის გათვალისწინებული. აღნიშნული პრაქტიკული უნარ-ჩვევები შესაბამება როგორც დარგის, ასევე მაგისტრატურის საფეხურის მოთხოვნებს.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით კურიკულუმში გათვალისწინებულია სავალდებულო სასწავლო კურსი „პრაქტიკა“. ბტუ-ს აღნიშნულ პროგრამას გააჩნია გაფორმებული მემორანდუმები თანამშრომლობის თაობაზე მთელ რიგ სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყებებთან (იხ. მემორანდუმების დანართი), როგორც პრაქტიკის ობიექტებთან. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ უსდ-ის მიერ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში გაეცნონ სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის პრინციპებს, გაიღრმავონ თეორიული ცოდნა და შეიძინონ პრაქტიკული უნარები რეალურ სამუშაო გარემოში. ასევე, ეს თანამშრომლობა საშუალებას აძლებს დამსაქმებლებს, დაინახონ და შეაფასონ სტუდენტის პოტენციალი, ცოდნა და უნარ-ჩვევები. თუმცაღა, მემორანდუმების ნაწილში სასურველია დაკონკრეტდეს თანამშრომლობის ფორმატები, დეტალურად გაიწეროს თანამშრომლობის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები და თანხვედრაში მოვიდეს მემორანდუმის სამიზნე ამოცანები და სასწავლო

კურსის „პრაქტიკის“ სილაბუსით გაწერილი შედეგები. ასევე მიზანშეწონილია მემორანდუმებში დაკონკრეტდეს პრაქტიკის გამვლელ სტუდენტთა რაოდენობა. შესაბამისად, **რეკომენდებულია,** მემორანდუმებში დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს მიზნები, მოქმედების საფეროები, დასახული ამოცანები, პრაქტიკის განხორციელების გზები და მოსალოდნელი შედეგები. ასევე დაზუსტდეს, პრაქტიკის ობიექტზე მიმაგრებულ სტუდენტთა რაოდენობა.

პრაქტიკის სილაბუსის თანახმად, პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს სტუდენტების ხელმღვანელობას მენტორის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს ბტუ-ს პარტნიორ ორგანიზაციის (პრაქტიკის ობიექტი) ან მის მიერ მოწვეულ პრაქტიკოს სპეციალისტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოს პრაქტიკული ასპექტების შესახებ მაგისტრანტის ინფორმირებას და პარტნიორ ორგანიზაციებში განსახორციელებელი პრაქტიკის მონიტორინგს.

უსდ-ს სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ისწავლონ პარტნიორ უსდ-ებში, რაც ხელს შეუწყობს განსხვავებული ტრადიციების მქონე სოციუმსა და მულტიკულტურულ გარემოში ადაპტირების უნარის განვითარებას.

პროგრამაში კვლევითი უნარების გამომუშავებას ემსახურება სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები“ და „სამაგისტრო ნაშრომი,“ ჯამში 24 კრედიტის მოცულობით. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებებით დასტურდება, რომ სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ როგორც კვლევით პროექტებში, ასევე უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში, აკადემიური პერსონალის დახმარებით განახორციელონ მცირე კვლევითი პროექტები, მოამზადონ მოხსენებები სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებისთვის, წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები დარგის სპეციალისტებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრებზე. ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს უწყობს სტუდენტის პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას.

ინფორმაცია ბტუ-ს პროექტების შესახებ ქვეყნდება ბტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე ეგზავნება სტუდენტებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (BTUClassRoom) და სტუდენტების პირადი კორპორატიული ელ.ფოსტის მეშვეობით.

მაგისტრანტს შეუძლია BTU Classroom-ის პროგრამაში ჩაშენებულ „სტუდენტის ელექტრონულ პორტფოლიოში“ ასახოს თავისი აქტივობები და ელექტრონულად გაუზიაროს პოტენციურ დამსაქმებელს. ეს საქმიანობა არ მიეკუთვნება პროგრამის კომპონენტს, არ ფასდება და ნებაყოფლობითია. ელექტრონული პორტფოლიო იმართება ბტუ-ს კარიერული განვითარების ცენტრის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში
- უსდ-ის სამაგისტრო პროგრამის დებულება
- ინტერვიუს შედეგები

○ უსდ-ის ვებგვერდი (სტუდენტური კვლევები: https://btu.edu.ge/kvleva/gankhortsielebuli-kvleveb/studenturi-kvlevebi/; სტუდენტთა წარმატების ისტორიები: https://btu.edu.ge/kariera/tsarmatebis-istoriebi-2/; სტუდენტებისთვის შეთავაზებული პროექტები: https://btu.edu.ge/kariera/studentebisthvis/; სტარტაპკატალოგი: https://btu.edu.ge/inovatsia-metsarmeoba/startapebiis-katalogi/ და სხვ.)

რეკომენდაციები

რეკომენდებულია, მემორანდუმებში დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს მიზნები, მოქმედების საფეროები, დასახული ამოცანები, პრაქტიკის განხორციელების გზები და მოსალოდნელი შედეგები. ასევე დაზუსტდეს, პრაქტიკის ობიექტზე მიმაგრებულ სტუდენტთა რაოდენობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	☒	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილია სწავლა-სწავლების კონკრეტული მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, მიზანს, სავარაუდო შედეგებს და ემყარება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპს. სასწავლო კურსებში გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები: ზეპირსიტყვიერი და ტექსტზე მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის, შემთხვევის ანალიზისა (Case study) და გონებრივი იერიში (Brain storming) მეთოდები. სტუდენტებს ასევე მოეთხოვებათ ჯგუფური და ინდივიდუალური კვლევითი პროექტების მომზადება. სწავლა-სწავლების პროცესში ამ მეთოდების გამოყენება ორიენტირებულია სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიურ მონაწილეობაზე და მიმართულია სტუდენტის კვლევითი უნარების ჩამოყალიბებისაკენ. მას უვითარდება კვლევის მიზნის განსაზღვრის, სამუშაო ჰიპოთეზის დასახვის, ადეკვატური კვლევითი მეთოდების შერჩევის, სამუშაო პროცესის დაგეგმვის, დროის სწორი მენეჯმენტის უნარები. პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

მიუხედავად აღნიშნულისა, სასურველი იქნებოდა, სასწავლო კურსის „საერთაშორისო უსაფრთხოება და ტექნოლოგიები“ სილაბუსში გათვალისწინებულ იქნას პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL – Problem Based Learning) მეთოდი, რომელიც, ერთი მხრივ, კონსოლიდაციას გაუკეთებდა სილაბუსით გაწერილი მეთოდების პრაქტიკაში გამოყენებას, ხოლო, მეორეს მხრივ, სტუდენტები კონცენტრირდებოდნენ ე.წ. მოქმედებაზე დაფუძნებულ/ორიენტირებულ სწავლების (ABL - Action Based Learning) ფორმებზე და შეიძენდნენ რეალურ სიტუაციაში მათი გამოყენების უნარს. შესაბამისად, **სასურველია,** სასწავლო კურსის „საერთაშორისო უსაფრთხოება და ტექნოლოგიები“ სილაბუსში გათვალისწინებულ იქნას პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდი, სასწავლო კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

სწავლების დროს გამოიყენება ცოდნის გადაცემის შემდეგი საშუალებები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვ. პროგრამის ფარგლებში გამოყენებული მეთოდები მოიცავს ანალიტიკური, პრაქტიკული და კვლევითი უნარების ჩამოყალიბება-განვითარებაზე მიმართულ აქტივობებს, მათ შორის სხვადასხვა სირთულის ამოცანებზე პრაქტიკულ მუშაობას, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებას, შემთხვევის შესწავლას, ინდუქციასა და დედუქციას. სწავლება-სწავლის პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება და მეთოდების კომბინირება, რაც მიმართულია სასწავლო და კვლევით პროცესში მაგისტრანტთა აქტიურ ჩართულობაზე, თეორიული ანალიზისა და კვლევითი ხერხების, ასევე სხვა უნარების ჩამოყალიბებაზე. პროგრამის კომპონენტის შესწავლისას გამოყენებული მეთოდები უზრუნველყოფენ პროგრამის კომპონენტით დაგეგმილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების მიღწევას, ხოლო პროგრამის ყველა კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა – პროგრამისა საერთო მიზნების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, სასწავლო კურსის „საერთაშორისო უსაფრთხოება და ტექნოლოგიები“ სილაბუსში გათვალისწინებულ იქნას პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდი, სასწავლო კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი ჩარჩო ეყრდნობა ევროპის სივრცეში არსებულ სტანდარტებს და სახელმძღვანელო მითითებებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული მოთხოვნებს, ასევე თვით უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ შიდა დოკუმენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ სტუდენტთა შეფასების სისტემას და პროცედურებს, დაფუძნებული შეფასების ისეთ პრინციპებზე, რომელთა შორისაა საჯაროობის, გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპები. პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედური და დასკვნითი

შეფასების ფორმებს, სადაც პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების საბოლოო შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი 100 ქულიანი სისტემით

იხ. წინამდებარე ცხრილი:

შეფასებები	ქულა	შეფასება	
5 დადებითი შეფასება	91-100	A	ფრიადი
	81-90	B	ძალიან კარგი
	71-80	C	კარგი
	61-70	D	დამაკმაყოფილებელი
	51-60	E	საკმარისი
2 უარყოფითი შეფასება	41-50	Fx	ვერ ჩააბარა (მაგისტრანტს მეტი მუშაობა სჭირდება)
	40-0	F	ჩაიჭრა (მაგისტრანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი)

შეფასებების დეტალური მნიშვნელობა მოცემულია უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშში და მაგისტრატურის დებულებაში, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. აქედან, შეფასების თითოეული ფორმისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების ნაწილში სტუდენტს გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასებებით გადალახული აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი მკაფიოდ ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. აღსანიშნავია, რომ მოცემული მოთხოვნა ინდივიდუალურად განსაზღვრულია სასწავლო კურსების მიხედვით. პროგრამის შეფასების სისტემის შესაბამისად, შუალედური შეფასება მოიცავს შეფასების მრავალფეროვან კომპონენტებს და მეთოდებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნას, უნარებს და კომპეტენციას. ამ მხრივ, შეფასების საშუალებები და მეთოდები მრავალფეროვანია (წერითი და ზეპირი გამოკითხვები, კომბინირებული, ესე, კვლევის პროექტი, პრეზენტაცია, დისკუსიები, ქეისის ანალიზი, ტესტი). პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სემესტრული დავალებები უმთავრესად პრაქტიკულია, ხოლო პრაქტიკული დავალებების შესრულება ხორციელდება როგორც სააუდიტორო მეცადინეობისას, ისე სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად, საშინაო დავალების სახით (უკანასკნელ შემთხვევაში სტუდენტი დავალებას ამზადებს MS Word-ის ელექტრონული დოკუმენტის სახით და დათქმულ ვადებში უგზავნის სასწავლო კურსის ხელმძღვანელს). სილაბუსის გაცნობის საშუალება სტუდენტს აქვს როგორც სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში - BTUClassroom-ში, ასევე თვით სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ახდენს სილაბუსის პრეზენტაციას სტუდენტებთან პირველივე შეხვედრისას, სადაც სტუდენტებს აცნობს სილაბუსს და აწვდის საკვანძო ინფორმაციას კურსთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოცდილება სხვადასხვაგვარია. ერთის მხრივ, პროგრამაში ჩართულია მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პერსონალი, რომელთაც უდასტურდებათ კომპეტენცია, და ასევე ახალგაზრდა პერსონალი ნაკლები გამოცდილებით, თუმცა, ახალგაზრდა პედაგოგთა არსებობა ძლიერ მხარედ უნდა მოვიაზროთ, რაც გამოიხატება სასწავლო პროცესის მსვლელობისას ახალი იდეების გენერირებაში.

წარმოდგენილი სილაბუსების გაცნობისა და სასწავლო კურსების ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა სტუდენტთა შეფასების ინდივიდუალური მეთოდებითა და კრიტერიუმებით შეფასების ტენდენცია. გამოვლინდა, რომ როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი, სილაბუსის ფორმირებისას მაქსიმალურად ითვალისწინებდა სასწავლო კურსის სპეციფიკას და სტუდენტთა საჭიროებებს შეფასების სისტემის დანერგვისას. კერძოდ, გათავისებულია თეორიული და პრაქტიკული ხასიათის სასწავლო კომპონენტების არსებობის საჭიროება და ბალანსი, სასწავლო კურსის კომპონენტებისა და მეთოდების შესაბამისობა კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან.

სტუდენტთა შეფასებისას მხედველობაში მიიღება აკადემიური ეთიკის წესები, რომლებიც მოცემულია ცალკე მარეგულირებელი დოკუმენტის სახითაც („ეთიკისა და აკადემიური ეთიკის კოდექსი“), და ასევე აკადემიური ეთიკის წესები ფიგურირებს სხვა დოკუმენტებშიც, მათ შორის თვით სასწავლო კურსების სილაბუსებშიც. აკადემიური ეთიკის წესებთან და სტანდარტებთან დაკავშირებით ყველა სტუდენტის ინფორმირება ხორციელდება სასწავლო კურსის დასაწყისში, ასევე ფაკულტეტის სტუდენტებთან საორიენტაციო შეხვედრის დროს ხდება მოქმედი სტანდარტების მოკლედ გაცნობა. აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა აქტიური სტატუსის მქონე მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების პროცესში.

სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, შეფასების, დაცვის და ნაშრომთან დაკავშირებული სხვა საკითხები მიმოხილულია უნივერსიტეტის მაგისტრატურისა და ფაკულტეტის დებულებებში, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში და სამაგისტრო ნაშრომის შექმნის სახელმძღვანელოში. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სრული ციკლი არის დეტალურად გაწერილი, არ ჩანს ორაზროვნება და სტუდენტისთვის მარტივად აღსაქმელია. სტუდენტის საბოლოო შეფასებას ახდენს სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისია, რომლის შექმნის წესი მოცემულია „სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის ფორმირებისა და საქმიანობის მარეგულირებელ წესში“. კომისია დაკომპლექტებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთაც აქვთ სათანადო კვლევითი ან/და პრაქტიკული გამოცდილება სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის თემის სფეროში და შესაბამისად, უდასტურდებათ დარგობრივი კომპეტენცია. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, ხოლო შეფასების მაქსიმალურ მაჩვენებელს წარმოადგენს 100 ქულა.

რაც შეეხება სტუდენტთა შეფასებების გასაჩივრების მექანიზმებს. ამ კუთხით, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, თუ იგი არ ეთანხმება სასწავლო

კომპონენტში მიღებულ შეფასებას, გაასაჩივროს შეფასება ფაკულტეტის დებულებით დადგენილი წესით. გასაჩივრების შესახებ ზოგადი ინფორმაცია მოცემულია უნივერსიტეტის შინაგანაწესში, თუმცა ფაკულტეტის დებულება დეტალურად განმარტავს გასაჩივრების პროცედურას. გასაჩივრების პროცედურა საკმაოდ მარტივია და უზრუნველყოფს სტუდენტის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებას. კერძოდ, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს საკუთარ ნაშრომს და შემდგომ გადაწყვიტოს ნაშრომის გასაჩივრების საკითხი. თუმცა, უნივერსიტეტს აქვს დადგენილი მოთხოვნა, რომელიც საჩივრის ირგვლივ წარმოების დაწყების წინაპირობას წარმოადგენს - სტუდენტის პრეტენზია უნდა იყოს საფუძვლიანი, დასაბუთებული და მკაფიოდ იყოს მითითებული თუ რას აპროტესტებს სტუდენტი. აღნიშნული ჩანაწერი უზრუნველყოფს უსაფუძვლო საჩივრების არსებობას და გარკვეულწილად ზოგავს ფაკულტეტის დროით რესურსს, რაც სწორ მენეჯმენტში გამოიხატება. შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში საპრეტენზიო განაცხადების ფარგლებში გასაჩივრებულ ნაშრომს განმეორებით აფასებს „შემფასებელი". დოკუმენტაციის ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ შემფასებელს წარმოადგენს უშუალოდ ის პირი, რომელმაც განახორციელა სტუდენტის ნაშრომის თავდაპირველი შეფასება. თუმცა, ფაკულტეტის დებულება ითვალისწინებს სხვა შემფასებლის დანიშვნის შესაძლებლობას, საპრეტენზიო განცხადების შინაარსიდან გამომდინარე. ზემოხსენებული ჩანაწერის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სხვა შემფასებლისთვის ნაშრომის გადაცემა, შესაძლოა, ერთის მხრივ, სტუდენტის დასაბუთებული მოთხოვნით განხორციელდეს, ან უშუალოდ დეკანის დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, მის სუბიექტურ და ობიექტურ შეფასებებზე დაყრდნობით, სხვა შემფასებლისთვის ნაშრომის გადაცემის საჭიროებაზე განვითარებული მსჯელობის საფუძველზე. გასაჩივრების პროცედურა გარკვეულწილად განსხვავებულია საბაკალავრო/სამაგისტრო/პრაქტიკის ნაშრომების/ანგარიშების გასაჩივრებასთან დაკავშირებით. ფაკულტეტის დებულების თანახმად, იქმნება საპრეტენზიო კომისია/კომისიები, რომელთა წევრების ვინაობას განსაზღვრავს დეკანი. როგორც ჩანს, კომისია კოლეგიური ორგანოა, რომელიც განსაკუთრებული ინტერესით უდგება ზემოხსენებული სასწავლო კომპონენტების შეფასებების გასაჩივრებას, რაც ცალსახად მისასალმებელია.

უნივერსიტეტში განხორციელებული ვიზიტის დროს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის და ფაკულტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგად დადასტურდა უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით შემუშავებული მექანიზმების ქმედითობა. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები ცალსახად აღნიშნავდნენ სასწავლო კურსების ხელმძღვანელების ობიექტურობას მათი შეფასებების კონტექსტში. სტუდენტს, მიუხედავად უნივერსიტეტში არსებული შეფასების გასაჩივრების მექანიზმებისა, აქვს შესაძლებლობა ლექტორთან ერთად განიხილოს დაშვებული შეცდომები, როგორც სააუდიტორო შეხვედრის დროს, ისე მის გარეთ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი სააუდიტორო შეხვედრისას სტუდენტთა საგამოცდო ნაშრომების განხილვის შემთხვევაში ითვალისწინებენ სტუდენტის

კონფიდენციალურობის უფლებას და ზოგად კონტექსტში მსჯელობენ სტუდენტის მიერ დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის ფორმირებისა და საქმიანობის მარეგულირებელი წესი;
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება;
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ფაკულტეტის დებულება;
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი შინაგანაწესი;
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ეთიკისა და აკადემიური ეთიკის კოდექსი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა - BTUclassroom;
- სამაგისტრო ნაშრომის შექმნის სახელმძღვანელო;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პროგრამაში ჩართულ სხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგები;
- უსდ-ის ვებ-გვერდი https://btu.edu.ge/

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა ინფორმირების მრავალფეროვანი მექანიზმი, დაკავშირებული სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან საკითხებთან და ამავდროულად საუნივერსიტეტო ცხოვრების სიახლეებთან მიმართებით. სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესახებ ინფორმაციის მიწოდების საშუალებებიდან უპირველესი უშუალო კომუნიკაციით დამყარებული ურთიერთობებია. ამ მხრივ, აქტიურადაა ჩართული თვით ფაკულტეტის დეკანატი, რომელიც ციფრული საშუალებებითა და ვერბალური კომუნიკაციის მეშვეობით სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციას აწდვის სტუდენტს. მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ფაკულტეტი აცხადებს მზაობას და სრულ მზადყოფნას გაუწიოს სტუდენტს ყოველგვარი კონსულტაცია და აღმოუჩინოს შესაბამისი მხარდაჭერა კომპეტენციის ფარგლებში. მსგავსი სურათი გვაქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემთხვევაშიც. საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები ითვალისწინებენ საკონსულტაციო სააათებს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი ინდივიდუალური კონსულტირების გზით იღებს უკუკავშირს მის აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით, ასევე კონსულტირების ფარგლებში შესაძლებელია სასწავლო კურსთან დაკავშირებული ბუნდოვანებისა და პრობლემების განხილვაც. ბოლოხსენებული მექანიზმი წარმოადგენს ფორმალურად დადგენილ პროცედურულ ნაწილს, თუმცა სტუდენტები აღნიშნავენ, რომ კონსულტირების საშუალება დისტანციურ რეჟიმშიც არის მათთვის შესაძლებელი, საკონტაქტო საათებს მიღმა არსებულ დროში, არაფორმალურ გარემოში. აღნიშნული პედაგოგთა კეთილი ნების გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ, რაც ნამდვილად დასაფასებელია.

სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა BTUClassroom-ი წარმოადგენს ციფრულ პლატფორმას, სადაც ასევე ხორციელდება სტუდენტთა ინფორმირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ. ელექტრონული მართვის სისტემის გაცნობის შედეგად, შეგვიძლია განვავითაროდ მსჯელობა პლატფორმის სიმარტივესთან და მოქნილობასთან დაკავშირებით. BTUClassroom-ში ნავიგაცია საკმაოდ მარტივია და სიახლეების/შეტყობინებების თვალის მიდევნებაც ანალოგიური პრინციპითაა შესაძლებელი. ერთი მხრივ, სტუდენტი იღებს ინდივიდუალურ შეტყობინებებს დაწესებულების სტრუქტურული ერთეულებისგან/პროგრამის განმახორციელებელი პირებისგან, ხოლო მეორე მხრივ, „ინტერფეისში“ მიმაგრებულია ზოგადი ხასიათი განცხადებები სასწავლო პროცესთან დაკავშირებით სტუდენტის თვალთახედვის არეალში იოლად ექცევა. ამასთანავე, სტუდენტსა და პედაგოგს შორის წერილობითი კომუნიკაციის დამყარებაც არის შესაძლებელი ინდივიდუალური შეტყობინებების გაგზავნის გზით. საჯარო ინფორმირების კონტექსტში, უნივერსიტეტის შესასვლელში არსებულ მონიტორზე გამოტანილია უნივერსიტეტში მიმდინერე აქტივობებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაცი, რომელიც სტუდენტებისთვის ინტერესის საგანი შეიძლება იყოს. აღნიშნული წარმოადგენს ინფორმაციის გავრცელების კიდევ ერთ საშუალებას, რომელიც მიმართულია უფრო ფართო აუდიტორიაზე.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ განვითარებაზე ზრუნავს უნივერსიტეტის კარიერული განვითარების სამსახური. სტუდენთა გამოკითხის შედეგად დადგინდა, რომ კარიერული განვითარების სამსახური მუდმივად უგზავნით შეტყობინებებს აქტიურ ვაკანსიებთან დაკავშირებით, სტუდენტის უნივერსიტეტის ელ. ფოსტაზე გაგზავნის გზით. აღსანიშნავია, რომ სამსახური ახდენს ვაკანსიების დიფერენცირებას საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციის გათვალისწინებით და სტუდენტს უგზავნის მხოლოდ თემატურ ვაკანსიებს. გარდა ამისა, თვითშეფასების ანგარიშის შესწავლისა და კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის გამოკითხვის შედეგად დაზუსტდა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმის - „სტუდენტის ელექტრონული პორტფოლიოს“ არსი და ქმედითობა, რომელიც სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემაში - “BTUClassroom-შია“ ჩაშენებული. გასაუბრების შედეგად დაზუსტდა ელექტრონული პორტფოლიოს შინაარსი, კერძოდ ცენტრის ხელმძღვანელის განამრტებით, იგი წარმოადგენს ერთგვარ სტუდენტთა CV-ების ბაზას, რომელთა შეთავაზებასაც ახდენენ პოტენციური დამსაქმებლებისთვის. თუმცა, ინტერივუს დროს შეიმჩნეოდა გარკვეული დაბნეულობა აღნიშნულ მექანიზმზე მსჯელობის განვითარებისას და ხაზი გაესვა მექანიზმის დახვეწის მიმდინარე პროცესებს.

უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას უნივერსიტეტის შიდა და გარე დაგეგმილ აქტივობებში. უნივერსიტეტი ღიაა სტუდენტთა ინიციატივებისთვის და ახორციელებს მრავალ პროექტს მათი მონაწილეობით. გამოთხოვილი დოკუმენტაციიდან, კერძოდ „სტუდენტთა აქტივობების“ და „სტუდენტური გაცვლითი პრორამების“ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ამავდროულად მომიჯნავე

პროგრამების აქტიური სტატუსის მქონე სტუდენთა გამოკითხვს შედეგად, ჩანს ინტერნაციონალიზაციის შთამბეჭდავი დონე საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობის კონტექსტში. დინამიკის შესწავლით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, როგორც ორმხრივი თანამშრომლობის, ისე ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამის ფარგლებში, სტუდენტთა აქტიურობა ყოველ წელს იზრდება. რაც შეეხება სტუდენტებისთვის განხორციელებულ მომსახურებას, „სტუდენტებისთვის გაწეული მომსახურების" დოკუმენტზე დაყრდნობით და ინტერვიურების შედეგების საფუძველზე, დავადგინეთ უნივერსიტეტის აქტიური მუშაობა და სტუდენტთა დაინტერესების მაღალი მაჩვენებელი. ცალსახაა, რომ სტუდენტთა კმაყოფილების დონე გაწეული მომსახურებით არის შთამბეჭდავად კარგი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები;
- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ (პროგრამაში ჩართული აკადემიური / სამეცნიერო / მოწვეული / ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალი, ფაკულტეტის/სკოლის კოორდინატორი, ტუტორი ან სხვა) პირთა დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები;
- ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის დოკუმენტები/ინფორმაცია (დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები - „სტუდენტთა აქტივობები", „სტუდენტური გაცვლითი პრორამები", „გაცვლითი პროგრამების სტატისტიკა", „სტუდენტებისთვის პროექტები-ღონისძიებები", „სტუდენტების მომსახურება")
- სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა - BTUClassroom;
- უსდ-ის ვებ-გვერდი https://btu.edu.ge/
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინტერვიუს შედეგები;
- უსდ-ს ადმინისტრაციული პერსონალის და პროგრამის ხელმძღვანელების ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამდააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	**მოთხოვნებთან**	**მოთხოვნებთან**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვინაიდან სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, მოცემულ სტანდარტზე მსჯელობისას დავეყრდნობით ფაკულტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა და აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტთა ინტერვიუს შედეგებს, ასევე პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგებს და უნივერსიტეტში არსებულ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს.

თავდაპირველად, ყურადღებას გავამახვილებთ მარეგულირებელ დოკუმენტებზე, სადაც გაწერილია მაგისტრანტთა ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული საკითხები. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებისა და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის თანახმად, უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მაგისტრანტი შესაბამისი დარგის სპეციალისტით, რომელიც ხარისხიან ხელმძღვანელობას გაუწევს სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სრული ციკლის განმავლობაში. ამ მხრივ, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წევრი ან/და მოწვეული სპეციალისტი, რომელსაც შესაბამის დარგში კვალიფიკაცია და გამოცდილება უდასტურდება. გარდა ამისა, უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები ითვალისწინებს, ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, თანახელმძღვანელის არსებობის შესაძლებლობასაც. სტუდენტთა და ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობებიც დეტალურად გაწერილია მარეგულირებელ წესებში და ხელშეკრულებაში. რაც შეეხება მაგისტრანტის კლევით ინტერესს, მე-4 სემესტრის დაწყებამდე აკადემიური საბჭო ამტკიცებს კვლევის თემებს და, შესაბამისად, ნაშრომების ხელმძღვანელების კანდიდატურებს. მაგისტრანტი: ა) ირჩევს შემოთავაზებულიდან მისთვის სასურველ თემას (შესაბამისად - ხელმძღვანელს) ან ბ) წარმოადგენს მისთვის საინტერესო კვლევის თემას - აკადემიური საბჭო განიხილავს ამ თემას და დადებითი გადაწყვეტილების (თემის დამტკიცების შემთხვევაში) შეარჩევს (ამტკიცებს) კვლევის (ნაშრომის) ხელმძღვანელს. კურსდამთავრებულები აღნიშნავდნენ, რომ მათ მიერ შეთავაზებული თემების

დამტკიცების პრობლემები არ ჰქონდათ და აკადემიური საბჭო მაქსიმალურად იღებდა მხედველობაში მაგისტრანტის კვლევით თემატიკას.

ხელმძღვანელთა და სტუდენტთა რაოდენობის ოპტიმალური თანაფარდობის დასადგენად უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მეთოდოლოგია, დაფუძნებული უნივერსიტეტის „პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტზე, რომელიც მოცემულია თვითშეფასების ანგარიშშიც. პროგრამის ხელმძღვანელთა განმარტებით, 1 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ჰყავს მაგისტრატურის საფეხურის 3 სტუდენტი, რაც საკმაოდ კარგ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ. მოცემული თანაფარდობა იდეალურ მოცემულობას ქმნის სტუდენტთა შედეგების მაქსიმიზაციისკენ, რასაც თან სდევს კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი.

გამოკითხული კურსდამთავრებულებიდან ყველა ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავდა კმაყოფილებას, რომლის წყაროს წარმოადგენდა სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა და ფაკულტეტიდან ჩართული პირთა დამოკიდებულება მათდამი. კურსდამთავრებულები ყურადღებას ამახვილებდნენ ხელმძღვანელებთან კომუნიკაციის ხარისხზე და მხარდაჭერის ღონისძიებებზე, რომელიც იყო დროული და კვალიფიციური. ყველა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყო ხელმისაწვდომი საკონსულტაციო საათებში, აგრეთვე მათთან კომუნიკაციის დამყარების სხვადასხვა საშუალება იყო ხელმისაწვდომი (იგულისხმება ვერბალური და წერილობითი კომუნიკაცია). ასევე, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები და კურსდამთავრებულები ინფორმირებულები იყვნენ კვლევისთვის საჭირო წყაროების, სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შესახებ და დამატებით უტარდებოდათ შეხვედრები სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით, ასევე კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგები. კურსდამთავრებულთა კმაყოფლების დონეს აგრეთვე ადასტურებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის - მაგისტრანტთა კმაყოფილების კითხვარის შედეგებიც და ინტერვიუს შედეგები.

ნიშანდობლივია ყურადღება გავამახვილოთ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისთვის წაყენებულ მოთხოვნებზე. უნივერსიტეტში მოქმედი სტანდარტის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც უდასტურდება საკვლევი თემატიკის ირგვლივ როგორც პრაქტიკული გამოცდილება, ასევე თეორიული ცოდნა. ჩანაწერის ანალიზის შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ არის აუცილებელი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, რომელიც უნდა იყოს დარგის სპეციალისტი, ჰქონდეს დოქტორის ხარისხი, მასთან გათანაბრებული ან იყოს დოქტორანტი. ფაქტობრივად, შესაძლებელია მაგისტრის ხარისხის მქონე პირმაც გაუწიოს ხელმძღვანელობა შესაფასებელ საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტს, თუმცა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის არსებულ ჩანაწერში არ არის გამოკვეთილი კვლევითი გამოცდილების საკვალიფიკაციო მოთხოვნა, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის წერის მიზნებისთვის უმნიშვნელოვანეს უნარ-ჩვევას წარმოადგენს. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, კერძოდ აკადემიური და მოწვეული

პერსონალის CV-ების ანალიზის მიხედვით, პერსონალს მეტ-წილად უდასტურდება კვლევითი საქმიანობის გამოცდილება, რაც გამოიხატება არაერთ პუბლიკაციაში, საკონფერენციო ნაშრომში და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ამგვარი გამოცდილება უმთავრესად მოწვეულ პერსონალს უდასტურდება და არა აკადემიურ პერსონალს, რომელიც, ზოგადად, მიჩნეულია საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად ბირთვად. მიუხედავად იმისა, რომ არ მოიპოვება კანონისმიერი ჩანაწერი, რომელიც დაავალდებულებდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად აპრიორი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი დაენიშნა, მიზანშეწონილია უნივერსიტეტს ჰქონდეს გამოკვეთილი კვლევითი გამოცდილების მოთხოვნა, როგორც უმთავრესი განსმსაზღვრელი კრიტერიუმი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასანიშნად. მაგისტრატურის საფეხურის დასრულება იმთავითვე გულისხმობს ფართო ცოდნის არსებობას კვლევის ჩატარების მიმართულებით, აგრეთვე მრავალმხრივ ცოდნას კვლევის მეთოდებთან და პრაქტიკულ იმპლემენტაციასთან მიმართებით. ამჟამინდელი ჩანაწერით, არსებობს აბსტრაქტული რისკი, როდესაც მაგისტრანტს სათანადო კვლევითი საქმიანობის გამოცდილების არ მქონე პირმა შეიძლება გაუწიოს ხელმძღვანელობა, რამაც სტუდენტი, შესაძლოა, არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენოს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **სასურველია,** უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტებში გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისთვის წაყენებული დამატებითი მოთხოვნა, რომ ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან/და უნდა უდასტურდებოდეს კვლევითი მიმართულებით მუშაობის დარგობრივი გამოცდილება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაგისტრანტის კვლევის ჩატარების მაღალი ხარისხი.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**N/A**
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	**N/A**
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის დებულება;
- სამაგისტრო ნაშრომის სასწავლო კურსის სილაბუსი;
- სამაგისტრო ნაშრომის შექმნის სახელმძღვანელო;
- პროგრამის ხელმძღვანელის, მაგისტრანტის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები;

- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტი - „მაგისტრანტის ხელმძღვანელის თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები“;
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტი - „ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების შესახებ“;
- დოკუმენტი - „სამაგისტრო ნაშრომზე ხელმძღვანელთან ერთად მუშაობის პროცესით მაგისტრანტთა კმაყოფილების კვლევა“;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პროგრამაში ჩართულ სხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტებში გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისთვის წაყენებული დამატებითი მოთხოვნა, რომ ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან/და უნდა უდასტურდებოდეს კვლევითი მიმართულებით მუშაობის დარგობრივი გამოცდილება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაგისტრანტის კვლევის ჩატარების მაღალი ხარისხი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	**X**
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელიც აერთიანებს, როგორც აკადემიურ ასევე მოწვეულ პერსონალს. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამის სასწავლო შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავებისათვის დასტურდება პროგრამაზე დართული პირადი საქმეებით, გამოცემული სამეცნიერო სტატიებით, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში მონაწილეობით.

პროგრამის განხორციელებაში უშუალოდ ჩართულია - 16 აკადემიური და 12 მოწვეული პერსონალი. ბალანსი პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ პერსონალს შორის უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო საგნებს უმეტესად უძღვება მოწვეული და არა აკადემიური პერსონალი. პროგრამაში ჩართული აფილირებული პერსონალის რაოდენობაა 4 და სააკრედიტაციო ჯგუფის აზრით, უსდ-მ ასევე უნდა იზრუნოს აფილირებული აკადემიური პერსონალის ზრდადობაზე. **სასურველია,** უსდ-მ იზრუნოს პროგრამის აფილირებული პერსონალით გაძლიერებისთვის.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**16**	**16**	**6**	**4**
- პროფესორი	3	3	3	-
- ასოცირებული პროფესორი	7	7	2	1
- ასისტენტ-პროფესორი	6	6	1	3
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	12	8	5	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საუნივერსიტეტო რეგულაციებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

პროგრამის განხოციელებაში უშუალოდ არის ჩართული ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის, ბიბლიოთეკის, ხარისხის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში მომუშავე შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალი, რაც უზუნველყოფს პროგრამის მდგრად და შეუფერხებელ განხორციელებას.

პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი, უსდ-ის აფილირებული ასისტენტ-პროფესორები, რომლებსაც გააჩნიათ მაგისტრის აკადემიური ხარისხი და დარგის მიმართულებით პროფესიული გამოცდილება. პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებული მრავლობითი რეკომენდაციების გათვალისწინებით, **რეკომენდებულია,** პროგრამის ხელმძღვანელების ჯგუფი გაძლიერდეს პერსონალით, რომელსაც ექნება დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხი და ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისა და განხორციელების გამოცდილება.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ჩართულ აკადემიური პერსონალის უმეტესობა არ არის ჩართული მიმდინარე სამეცნიერო პროექტებში. ზოგადად, სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტი საჭიროებს გაძლიერებას როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე მოწვეული პერსონალის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკული გამოცდილებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყოლა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ, მიგვაჩნია, რომ რადგან პროგრამა არის უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის, სასურველია პროფესურას

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

ჰქონდეს კვლევების და სამეცნიერო პროექტებთან მუშაობის გამოცდილებაც. შესაბამისად, **სასურველია,** აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევისას გარდა პრაქტიკული გამოცდილებისა, გათვალისწინებულ იქნას პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- მაგისტრატურის დებულება
- შინაგანაწესი; სტრუქტურული ერთეულების დებულებები, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია; პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო https://btu.edu.ge/ka/chven-shesakheb/maregulirebeli-dokumentebi

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, პროგრამის ხელმძღვანელების ჯგუფი გაძლიერდეს პერსონალით, რომელსაც ექნება დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხი და ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისა და განხორციელების გამოცდილება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, უსდ-მ იზრუნოს პროგრამის აფილირებული პერსონალით გაძლიერებისთვის.

სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევისას გარდა პრაქტიკული გამოცდილებისა, გათვალისწინებულ იქნას პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.1 ადამიანური რესურსი	☐	☒	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

იმის გათვალისწინებით, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა ამ ეტაპზე არ ხორციელდება, ქვემოთ მოცემული აღწერს უნივერსიტეტში მოქმედ საერთო წესს:

პროგრამის თითოეულ სტუდენტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი (საჭიროების შემთხვევაში - ერთი ან მეტი), რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი კვლევითი გამოცდილება. ნაშრომის ხელმძღვანელი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი, რომელიც შეიძლება იყოს ბტუ-ს აკადემიური პერსონალი და/ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია დაეხმაროს მაგისტრანტს ნაშრომის გეგმის შედგენაში, თანამედროვე ლიტერატურის, უახლესი ინფორმაციის, მონაცემების და კვლევის მეთოდების შერჩევაში, მისცეს მას სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები. მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის სილაბუსებში არსებული დამოუკიდებელი სამუშაოებისა და ნაშრომის შესრულების პროცესში აკადემიური პერსონალი ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ სტუდენტთან. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტს კვლევით პროცესთან დაკავშირებულ საკითხებში. ასევე უდს-ში არსებული მაგისტრატურის დებულების მიხედვით, გათვალისწინებულია გარე შემფასებელის, რეცენზენტის, მონაწილეობა,

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა არის ახალი, კვლევითი კომპონენტი კი დაგეგმილია პროგრამის IV სემესტრში, კომისიას წარედგინა სხვა მიმართულების სამაგისტრო ნაშრომები. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომებში სტრუქტურა და ფორმატირება სრულად იყო დაცული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი პირადი საქმეების მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის სავარაუდო ხელმძღვანელების ნაწილს აქვს პრაქტიკული და ნაკლებად სამეცნიერო/კვლევითი გამოცდილება. **სასურველია,** მაგისტრის ხელმძღვანელი იყოს კვლევითი გამოცდილების მქონე პერსონალი.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**7**	**3**	**2**
- პროფესორი	2	2	-
- ასოცირებული პროფესორი	3		1
- ასისტენტ-პროფესორი	2	1	1
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების პირადი საქმეები
- მაგისტრატურის დებულება
- ინტერვიუს შედეგები
- სამაგისტრო ნაშრომები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

***სასურველია**, მაგისტრის ხელმძღვანელი იყოს კვლევითი გამოცდილების მქონე პერსონალი.*

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☒	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა და პროგრამაზე თანდართულმა დოკუმენტებმა ცხადყო, უნივერსიტეტში მოქმედი წესით აკადემიური პერსონალის შეფასების ერთ-ერთი მექანიზმია ინდივიდუალური დატვირთვის სქემის (რაც მოიცავს სასწავლო-პედაგოგიურ, სამეცნიერო-კვლევით, სტუდენტთა ხელშეწყობის მიმართულებით ჩატარებულ საქმიანობას და სხვა) შესრულების შესწავლა და ანალიზი, რასაც ახორციელებს ფაკულტეტის დეკანი, რის

შედეგადაც შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები უზიარდება აკადემიურ პერსონალს პროგრამის განხორციელების სრულყოფის მიზნებისათვის.

აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტი სისტემატურად ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. მუდმივად ხდება პერსონალის ინფორმირება სამეცნიერო კონფერენციების, კვლევითი პროექტების, უცხოურ უნივერსიტეტებში მობილობის შესაძლებლობების, სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების დაფინანსების/თანადაფინანსების თაობაზე, თუმცა როგორც 4.1 სტანდარტშიც იქნა აღნიშნული, წარმოდგენილი პროგრამის პროფესურას ძირითადად აქვს პრაქტიკული გამოცდილება. **სასურველია,** უსდ-მ გააძლიეროს აკადემიური პერსონალის ჩართულობის ხელშეწყობა სამეცნიერო და კვლევით პროექტებში.

უნივერსიტეტში შექმნილია კვლევითი ცენტრი. სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ მიმდინარე კვლევით პროექტებში, დამოუკიდებლად აირჩიონ მათთვის საინტერესო კვლევა, ჩაერთონ დაგეგმვის, განხორციელების და შედეგების ანალიზის პროცესში და გაიღრმავონ ცოდნა და კვლევითი უნარები. ასევე, კვლევითი ცენტრის ინიციატივით, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის, სამეცნიერო კვლევებისა და მეცნიერების პოპულარიზაციისთვის, ყოველწლიურად ტარდება კონკურსი, რათა გამოვლინდეს სამეცნიერო პრემიის ლაურეატები, რომელსაც გადაეცემა ფულადი პრემია 5000 ლარის ოდენობით.

პერსონალის პროფესიული განვითარების კუთხით ასევე გამოსაყოფია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხი და ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული მმართველობის მიმართულებით თანამშრომლობა შემდეგ უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან: ბრაგანჩას უნივერსიტეტი, კაუნასის უნივერსიტეტი, ტალინის უნივერსიტეტი, პორტოს უნივერსიტეტი, ბერლინის შტაინბაისის უნივერსიტეტი, ლეიდენის უნივერსიტეტი. აღნიშნული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს პერსონალის მობილობას და უცხოელ კოლეგებთან გამოცდილების გაზიარების პრაქტიკის დამკვიდრებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები
- თანდართული მემორანდუმები და თანამშრომლობის თანმხობის წერილები
- უნივერსიტეტის ვებ-გვედრზე განთავებული შესაბამისი აქტივობების ამსახველი ინფორმაცია

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, *უსდ-მ გააძლიეროს აკადემიური პერსონალის ჩართულობის ხელშეწყობა სამეცნიერო და კვლევით პროექტებში.*

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი მცირე და დიდი ზომის აუდიტორიებით, სრულად აღჭურვილი თანამედროვე კომპიუტერული რესურს-ცენტრით, შეუფერხებელი ინტერნეტმომარაგებით.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში თავმოყრილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სახელმძღვანელოები და სამეცნიერო ლიტერატურა, ისევე როგორც უზრუნველყოფილია წვდომა ისეთ სამეცნიერო ბაზებთან როგორებიცაა: The Economist, MIT - Technology-Review, Harvard Business Review, MIT Sloan Management Review, Scopus, ScienceDirect, Scival Funding (Funding Institutional), EBSCO, Cambridge University Journals, Royal Society Journals Collection, SAGE Premier, Edward Elgar Publishing, IMechE Journals, e-Duke Journals Scholarly Collection, Openedition Journal. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერესების გათვალისწინებას საბიბლიოთეკო რესურსების განახლების პროცესში.

უნივერსიტეტი აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი უსაფრთხოების დაცვის შესაბამისი სისტემით. უნივერსიტეტში მოქმედებს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური და განთავსებულია სამეთვალყურეო კამერები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაქტობრივი მდგომარეობა

- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო უსაფრთხოება და ტექნოლოგიები“ ბიუჯეტი, სადაც დეტალურად არის ჩაშლილი პროგრამის შემოსავლის მიღების წყაროები და ხარჯები. შემოსავლები ეყრდნობა სტუდენტთა გადასახადებს. აღნიშნული ბიუჯეტი გათვლილია 25 სტუდენტზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ერთი სტუდენტის მოსვლის შემთხვევაშიც კი უსდ მზადაა განახორციელოს აღნიშნული პროგრამა სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებით.

ხარჯვითი ნაწილი მოიცავს სხვადასხვა ხარჯვით კატეგორიებს (აკადემიური / მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება, საბიბლიოთეკო ფონდის შევსება / რესურსებზე წვდომა, პერსონალის კვლევებისა და განვითარების ხარჯი, საკანცელარიო/საოფისე ხარჯი და სხვ.).

გასაუბრებისას დაისვა კითხვა სტუდენტების კვლევების და გაცვლითი პროგრამების დაფინანსების შესახებ, რაც ბიუჯეტში არ არის წარმოდგენილი. უსდ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული ხარჯვითი ნაწილი გაწერილია უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

წარმოდგენილი ბიუჯეტის დოკუმენტი და ჩატარებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ პროგრამის ბიუჯეტი თანხვედრაშია მის საჭიროებებთან და უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბტუ-ში სწავლების, კვლევისა და სხვა საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებისა და განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების დაგეგმვასა და შეფასებას ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თუმცაღა ხარისხის უზრუნველყოფაში, საუნივერსიტეტო სერვისების, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებასა და მონიტორინგში მონაწილეობა საუნივერსიტეტო საზოგადოების პასუხისმგებლობის საგანია, რაც ნათლადაა გაცხადებული შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებში. დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მართვისას მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ამავდროულად იყენებს ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს, როგორიცაა ხარისხი მენეჯმენტის საერთაშორისოდ აღიარებული სისტემა ISO 9001:2015 სტანდარტი პროცესებისა და პროცედურების მიმართულებით, ISO 21001:2018 სტანდარტი დაწესებულების მართვის მიზნით და „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG)“.

პროგრამის შეფასების, განხორციელების უზრუნველყოფისა და ხარისხის გაუმჯობესების სისტემის შექმნა, ისევე როგორც პროგრამის შემუშავების პროცესის ძირითადი ეტაპები, გაწერილია „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“ და „ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში“. ხსენებული დოკუმენტების თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და შეფასების პროცესში ეყრდნობა თუნინგის მეთოდოლოგიას და ამავდროულად, ხარისხის უზრუნველყოფის გაზრდის მექანიზმად ითვალისწინებს ერთ მხრივ, SWOT-ანალიზს, პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების, საფრთხეებისა და რისკების გამოსავლენად, ხოლო მეორე მხრივ, PDCA ციკლის პრინციპებს. ამ უკანასკნელში კი მოიაზრება პროცესების დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და მიღებულ შედეგებზე რეაგირება.

პროგრამის დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანხმად, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და მონიტორინგის პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის (უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტების, ბტუ-ს პარტნიორები - პოტენციური დამსაქმებლები, დარგის სპეციალისტები, პარტნიორი უნივერსიტეტის პერსონალი, გარე შემფასებელი/ექსპერტი და სხვ.) თანამონაწილეობა უზრუნველყოფილია სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, გამოკითხვების, გასაუბრების, დაინტერესებულ პირთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციების ანალიზის გზით, სამუშაო ჯგუფებში მუშაობით და სხვ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება პროგრამის შემუშავების და თვითშეფასების ანგარიშის შედგენის პროცესში თვითშეფასების ჯგუფის მონაწილეობაც.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების მიზნით ფაკულტეტზე იქმნება დარგის სპეციალისტებისაგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, რომლის საქმიანობას უძღვება პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი. ჯგუფი მონაწილეობს პროგრამის შეფასების პროცესშიც, რაც მოიცავს პროგრამის

მიზნების, შედეგებისა და კურიკულუმის ანალიზს, სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასებას, გამოკითხვების განხორციელებას, კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგს და სხვა რაოდენობრივი თუ თვისებრივი ინფორმაციის სისტემატურ შეგროვებასა და ანალიზს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის კი ინსტიტუციაში შემუშავებულია „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“, დოკუმენტი, რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს დეტალურ ინფორმაციას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დაგეგმვის ყველა ეტაპის, საჭირო ინდიკატორების შემუშავების, სამიზნე ნიშნულების გამოყოფის, შეფასების სისტემისა თუ პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების შედეგების გამოყენების შესახებ.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის მიზნით შემუშავებულია რამდენიმე მექანიზმი, მათ შორის, სწავლის შედეგების შეფასებისთვის შემუშავებულია მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, კურიკულუმის რუკა და გამოკითხვის ფორმები. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის რუკაში, სადაც მოცემულია თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსები შესაბამისი დონეების მითითებით (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) საჭიროებს დაზუსტებას (დეტალურად იხ. 1.3 კომპონენტში). მნიშვნელოვანია, კურიკულუმის რუკაში არსებული შინაარსობრივი უზუსტობებისა და შეუსაბამობების გასწორების მიზნით, გააქტიურდეს მუშაობა პროგრამის ხელმძღვანელებთან და შედეგებზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან. აქვე, აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელებს, ისევე როგორც აკადემიურ პერსონალს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სამაგისტრო პროგრამის და მისი სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შემუშავებულ მექანიზმებთან დაკავშირებით. ინტერვიუს პროცესში არ დადასტურდა ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობა პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში. მათ ასევე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ხარისხის უზრუნველყოფის შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებსა და დაწესებულებაში დანერგილ პრაქტიკებზე. **რეკომენდებულია,** პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი აქტიურად იყვნენ ჩართული პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

დაბოლოს, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება ორი მიმართულებით, ყოველსემესტრულად და კომპლექსურად. სემესტრული შეფასება ტარდება თითოეული სემესტრის დაწყებამდე და მისი მიზანია დადგინდეს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი პირობების არსებობა და მოთხოვნებთან შესაბამისობა. კომპლექსურ შეფასებას კი ექვემდებარება მოქმედი საგანმანთლებლო პროგრამა 2 წელიწადში ერთხელ და ხორციელდება შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციების, ფორმებისა და ინდიკატორების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- გამოკითხვის ფორმები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგია;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- საგანმანათლებლო პროგრამის რუკა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი აქტიურად იყვნენ ჩართული პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	☒	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, დაწესებულება იყენებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. აგრეთვე, „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამის გარე ექსპერტიზა საქართველოს ან უცხო ქვეყნის დარგის სპეციალისტების, სამეცნიერო-კვლევითის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, რომლის წარმომადგენლებიც არ მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავებაში და განხორციელებაში. ასევე, საექსპერტო დასკვნისათვის ექსპერტს ეგზავნება პროგრამის სრული ვერსია.

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს თანახმად, გარე შეფასების მიზნით პროგრამის არასრული ვერსია (პროგრამა სასწავლო კურსებით და განმახორციელებელი პერსონალის CV-ებით), არამედ აღწერილობა (სტრუქტურა, მიზნები და შედეგები) გაეგზავნა 5 გარე დარგობრივ შემფასებელს საზღვარგარეთის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. გარე შემფასებლების მიერ პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში აკადემიური პერსონალის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები შეფასებულია დადებითად. არსებითი ხასიათის რეკომენდაციები და რჩევები გარე შემფასებლების გამოხმაურებებში მოცემული არ არის. მხოლოდ ერთი შემფასებლის დასკვნაშია გამოყოფილი რამდენიმე მიგნება სასწავლო კურსების სახელწოდებების დაზუსტებისა და არჩევითი კურსების შესახებ. **სასურველია,** პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, გარე შემფასებლებს დარგობრივი ექსპერტიზისთვის მიეწოდოს პროგრამის სრული პაკეტი სილაბუსებითა და განმახორციელებელი პერსონალის რეზიუმეებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- გარე შემფასებლების გამოხმარება (5 ერთეული);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, გარე შემფასებლებს დარგობრივი ექსპერტიზისთვის მიეწოდოს პროგრამის სრული პაკეტი სილაბუსებითა და განმახორციელებელი პერსონალის რეზიუმეებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების სემესტრული თუ კომპლექსური მონიტორინგის და პერიოდული შეფასების მიზანია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობით განხორციელების უზრუნველყოფა, საუნივერსიტეტო სერვისების, სასწავლო თუ კვლევითი პროცესის შეფასება სტუდენტთა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობით. ამ მიზნით, უნივერსიტეტში შემუშავებულია რიგი შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციები (ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგია და სხვ.), რომლებიც განსაზღვრავენ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების მიდგომებს, პროცედურებს, ეტაპებს, მასში ჩართული პირების უფლება-მოვალეობებს და ა.შ.; გარდა აღნიშნულისა, საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესში დაწესებულება იყენებს თუნინგის მეთოდოლოგიასა და ESG-ის სტანდარტებს. მონიტორინგის პროცესში გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის შეფასებისთვის ისეთი მექანიზმები როგორიცაა SWOT ანალიზი, DPCA ხარისხის გაუმჯობესების ციკლი და ISO 9001:2015 სტანდარტები.

უნივერსიტეტში დანერგილია საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების პრაქტიკა, რაც მოიცავს:

- ✓ პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების შეფასებასა და ამ უკანასკნელის მიღწევის უწყვეტ მონიტორინგს სამიზნე ნიშნეულებთან თანაკვეთაში;
- ✓ კურიკულუმის და სასწავლო კურსების ანალიზსა და შეფასებას;
- ✓ სისტემური და საჭიროებაზე მორგებული სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვების განხორციელებას;
- ✓ პარტნიორი უმაღლესი დაწესებულებების წარმომადგენლების მიერ კოლეგიალურ შეფასებას;
- ✓ გარე ექსპერტების გამოცდილებებისა და რეკომენდაციების გაზიარებას;
- ✓ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს;
- ✓ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების ანალიზს;
- ✓ სასწავლო პროცესის მონიტორინგს;

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობის დადგენას დასაქმების ბაზარზე;
- ✓ შეფასების პროცესში სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაციის სისტემატური შეგროვება-ანალიზი და სხვ.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ფარგლებში დაწესებულება ახორციელებს პერსონალის შეფასებას, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვებს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს, სასწავლო და საგამოცდო პროცესის მონიტორინგს, ახდენს შრომის ბაზრის საჭიროებები დადგენას. სემესტრული და კომპლექსური მონიტორინგის შედეგები აისახება საგანმანათლებლო პროგრამაში, რის საფუძველზეც ხდება პროგრამის გაუმჯობესება. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ ინტერვიუების დროს დადასტურდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და პროგრამის აკადემიური პერსონალის მხრიდან მათ მოთხოვნებსა და საჭიროებებზე დროული რეაგირება.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ახალია და შესაბამისად მისი პირველადი შიდა მონიტორინგი, რაც მოიცავდა პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, კურიკულუმისა და სასწავლო კურსების ანალიზს, კანონმდებლობასთან და უნივერისტეტის რეგულაციებთან შესაბამისობის დადგენას, დაექვემდებარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასებას წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით.

საგულისხმოა, რომ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა პროგრამის მონიტორინგის პროცესების შესახებ შედარებით დაბალი ინფორმირებულობა. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია და ამავდროულად, პროგრამის ხელმძღვანელებს არ ჰქონიათ უმაღლესი საგანმანათლებლო საფეხურის პროგრამების მართვის გამოცდილება, ვფიქრობთ, სასურველი იქნება თუ პროგრამის ხელმძღვანელებთან გაიმართება საორიენტაციო სამუშაო შეხვედრები პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შესახებ, ასევე ამ შეფასების შედეგების პროგრამაში ასახვის თაობაზე. შესაბამისად, **სასურველია,** პროგრამის ხელმძღვანელებთან გაიმართოს საორიენტაციო სამუშაო შეხვედრები პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მექანიზმებისა თუ პროცესების შესახებ, ასევე ამ შეფასების შედეგების პროგრამაში ასახვის თაობაზე.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო უსაფრთხოება და ტექნოლოგიები"-ს აქტუალობის და საჭიროების დასაბუთების მიზნით დაწესებულების მიერ შესწავლილ იქნა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციები. ამავე მიზნით, შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია როგორც დამსაქმებლების, ისე საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან დაზვერვის და უსაფრთხოების აკადემიური დარგით მზარდი დაინტერესებისა და დარგში საგანმანათლებლო აკადემიური პროგრამების განვითარების საჭიროებაზე. შრომის ბაზრის დოკუმენტი ასევე გვთავაზობს საერთაშორისო და ადგილობრივი საგანმანათლებლო ბაზრის მიმოხილვას, კერძოდ კი, მიმოხილულია ანალოგი სამაგისტრო პროგრამების

მიზნები და ზოგადი შინაარსი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი არ იძლევა ადგილობრივი შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა საჭიროებების სიღრმისეულ ანალიზს. მაგ., დოკუმენტის ქვეთავი „საერთაშორისო და საქართველოს შრომის ბაზარი და დამსაქმებელთა მოთხოვნები“ არ გვთავაზობს სიღრმისეულ ანალიზს იმ ცოდნისა და უნარებისა, რომლებიც გააჩნიათ პოტენციურ დამსაქმებელ ორგანიზაციებს. თუმცაღა, დამსაქმებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მათი დაინტერესება წარმოდგენილი პროგრამით და დადასტურდა კომპეტენციის ფარგლებში ჩართულობაც. მიუხედავად აღნიშნულისა, სამომავლოდ **სასურველია,** პროგრამის განვითარების მიზნით, მონიტორინგის პროცესში პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მეტად სიღრმისეულად იქნას შესწავლილი შრომის ბაზრის ტენდენციები, ადგილობრივ დამსაქმებელთა მოთხოვნები, ცოდნა და კომპეტენციები, რომლითაც აღჭურვილი უნდა იყოს მომავალი კურსდამთავრებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგია;
- შიდა შეფასების დასკვნა;
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელებთან გაიმართოს საორიენტაციო სამუშაო შეხვედრები პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მექანიზმებისა თუ პროცესების შესახებ, ასევე ამ შეფასების შედეგების პროგრამაში ასახვის თაობაზე.

სასურველია, პროგრამის განვითარების მიზნით, მონიტორინგის პროცესში პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მეტად სიღრმისეულად იქნას შესწავლილი შრომის ბაზრის ტენდენციები, ადგილობრივ დამსაქმებელთა მოთხოვნები, ცოდნა და კომპეტენციები, რომლითაც აღჭურვილი უნდა იყოს მომავალი კურსდამთავრებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):
-

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: საერთაშორისო უსაფრთხოება და ტექნოლოგიები, მაგისტრატურა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	X	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

გვანცა აბდალაძე,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ნანი არაბული

დავით მაცაბერიძე,



სახელი, გვარი, ხელმოწერა

ქრისტინე ჩიხლაძე,

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ალექსანდრე კალანდაძე,